ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

14

1930

სახელგამი



შეკრებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კლასის საქმისათვის, იყავ მზად!

31 ივლისი

№ 14

წელიწადი მეხუთე

1930

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-ების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშებისათვის.

## ჩინელ პიონერთა წერილი ამიერ-კავკასიის პიონერებისადმი

**ძვირფასო ამხანაგებო!**

ჩინელ პიონერების და მრავალ მილიონ დაბეჩავებულ, მაგრამ მებრძოლ მუშა და გლეხ ბავშების სახელით გიგზავნით ძმურს, პიონერულ სალამს.

ამ წერილის მიზანია გაგაცნოთ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩინელ მუშათა და გლეხთა ბავშები და როგორ მონაწილეობენ ისინი რევოლუციონურ ბრძოლაში.

უამრავი ჩინელი მუშა ბავში, რომელიც სხვადასხვა წარმოებაში მუშაობს ჩინეთის მრეწველობის რაციონალიზაციის და მწვავე ეკონომიურ კრიზისის მსხვერპლად ხდებიან. მოზარდთა რიცხვი წარმოებაში დღითი-დღე მატულობს. ჯერ კიდევ 1929 წელს შანჰაიში მოზარდთა რიცხვი 170.000-მდე ავიდა. ეს რიცხვი ყველა სამრეწველო მუშების 25 პროცენტს შეიცავს.

რაც შეეხება მათს პირობებს, უნდა ითქვას, რომ ისინი არაადამიანურად ცხოვრობენ და ნახევარად სიმშილს განიცდიან.

რვა წლის ბავში (ხშირად ექვსი წლისაც) ქარხანაში იწყებს მუშაობას.

მუშაობენ მშობლებთან ერთად 12-16 საათს დღეში, ხელფასს კი უფროსებთან შედარებით იღებენ ნაკლებს —ექვს მანეთამდე თვეში.

შრომის დაზღვევაზე კი წარმოდგენაც არა აქვთ.

რაც შეეხება სოფლელ ბავშებს, მათი მდგომარეობა უფრო უარესია, რადგან განუწყვეტელ მილიტარისტულ ომების და გაუგონარ სიმშილობის გამო საშინელი ტანჯვას განიცდიან.

ასეთია საერთოდ მშრომელ ბავშთა მდგომარეობა ჩინეთში. მაგრამ ჩინეთის მუშების და გლეხების ბავშებმა კარგად იციან, რომ ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ ბრძოლისა და რევოლუციის საშუალებით. მათ იციან აგრეთვე, რომ ჩინეთის პიონერორგანიზაცია — მუშა და გლეხ ბავშების ერთად-ერთი რევოლუციონური ორგანიზაციაა.

ამიტომ არის, რომ ამ უკანასკნელ ხანებში პიონერორგანიზაციების რიცხვი ჩინეთში საგრძნობლად იზრდება. დღეს პიონერების რიცხვი იქ 200.000-ამდე აღწევს. ისინი უშიშრად მონაწილეობენ ყოველგვარ მოძრაობებში, შეიარაღებულ ბრძოლაში საბჭოების დასამყარებლად და თავიანთ ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ამით ისინი ჩინეთის რევოლუციონურ მოძრაობაში დიდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

ამავე დროს ჩინეთის წითელ არმიასთან მათ დაარსებული აქვთ საკუთარი შეიარაღებული გვარდია **„ახალგაზრდა გვარდია“**-ს სახელწოდებით, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩინეთის კომპარტია და კომკავშირი.

პიონერები ამ უკანასკნელებთან ერთად იბრძვიან დაბეჩავებულ ჩინეთის გასაბჭოებისა და იმ უფლებისათვის, როგორიც გაქვთ თქვენ—საბჭოთა კავშირში.

ჩინეთის პიონერებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირი არის არა მარტო თქვენი, არამედ ჩვენი და—მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლო.

ამიტომ ჩინეთის პიონერებისთვისაც ერთად-ერთი, უმთავრესი ლოზუნგია:

**„მუდამ მზად ვართ დავიცვათ საბჭოთა კავშირი მსოფლიო იმპერიალიზმის თავდასხმისაგან“.**

გაუმარჯოს ნორჩ ლენინელებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის პიონერთა მჭიდრო კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

**ჩინეთის პიონერთა დელეგაცია.**

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ჩინელ პიონერთა წერილი ამიერ-კავკასიის პიონერებისადმი. 2. შეკრებისაკენ—(ლექსი) **ა. მაშაშვილი.** 3. პროლეტარულ ბავშთა საერთაშორისო შეკრებისათვის—**გ. აბესაძე.** 4. მოვაწყოთ ინტერნაციონალური კუთხეები. 5. გარი აიზმანი. 6. ალსდექ ინდოეთო. 7. ფაბრიკა-სამზარეულო. 8. დეპეშა გორიდან. 9. საავტომობილო ქარხანა. 10. მტრები ხუთწლიანი გეგმის შესახებ—**ა. თაველი.** 11. ექსკურსიის ტეხნიკურად ხელმძღვანელობა— 12. თვით მეფეც კმაყოფილია ჩვენით. 13. პიონერული სიტყვა—**ა. მაშაშვილის,** მუსიკა.—კოკელაძის. 14. პურის დამზადება.

329.15(05)
3-47
ეროვნული ბიბლიოთეკა

    

# შეკრებისაკენ

    

ეს რა ხმებია
მრისხანე,
ეს რა სიმღერას
მღერიან...
გვეძახის
შეკრებისაკენ —
საბჭოთა
პიონერია!

აი, ლაშქარი
ამდენი
შეერთებული
ძმურადა —
ჩინელი, რუსი
ქართველი —
რიგში ვართ
დარაზმულადა!

თვალები თვალებს
ხედავენ,
გული გულითვე
ვიცანით:
გავუზიაროთ
ერთმანეთს
ჩვენი საქმე და
მიზანი!

ინდოელს, ქართველს,
ტაიგელს —
ერთი მიზანი
რგებიათ:
კაცი —
ენასაც გაიგებს,
აზრი თუ
გასაგებია!

ცხოვრება
შემოტრიალდა,
ჩადგა შრომაში
მხნეობა:
წინ მიდის
ინდუსტრია — და
საბჭოთა
მეურნეობა!

ჩვენ გავიმარჯვებთ —
ამაზე
სიბრაზე მოსდით
ფაშისტებს:
მათ მოსვენებას
არ აძლევს
ფიქრი
საბჭოთა კავშირზე!

მაგრამ, —
ლაშქარი ამდენი
შეერთებული
ძმურადა —
ჩინელი, რუსი,
ქართველი
რიგში ვართ
დარაზმულადა!

მაშ, რა ხმებია
მრისხანე,
მაშ, რა სიმღერას
მღერიან:
გვეძახის
შეკრებისაკენ
საბჭოთა
პიონერია!

ალიო მაშაშვილი.

    



# პროლეტარულ ბავშთა საერთაშორისო შეკრებისათვის

ა/წ. 23-27 ივლისს ქ. ბერლინში*) შესდგება პროლეტარულ ბავშების მეორე საერთაშორისო შეკრება-კონგრესი, რომელზედაც თავს მოიყრის 20000 ბავში სხვადასხვა ქვეყნიდან. აღნიშნულ შეკრების მნიშვნელობა მსოფლიო ბავშთა კომუნისტურ მოძრაობისა, ჩვენი პარტიის და კომკავშირისათვის დიდია. შეკრებამ უნდა მოახდინოს მომავალში დიდი გარდატეხა ბავშთა კომუნისტურ მოძრაობის განვითარებისათვის—დასავლეთში,— ამან უნდა შესცვალოს მუშაობის ფორმები ბავშთა შორის და ჩაუყაროს საფუძველი და გადააქციოს მცირერიცხოვან ბავშთა კომუნისტური ჯგუფები — მსოფლიო მასიურ ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციად.

ბ. კ. მოძრაობა დასავლეთში მძიმე კრიზისს განიცდის იმ მხრივ, რომ ჩვენ გვაქვს სისტემატური რიცხობრივი დაცემა წევრების და დაშლა მთელ რიგ ორგანიზაციების (ინგლისი, საფრანგეთი), ამის მიზეზია — კარჩაკეტილობა მუშაობაში, არცოდნა ბავშთა შორის მუშაობისა, მათის დარაზმვისა კონკრეტულ ამოცანების ირგვლივ და გამოყენება სხვადასხვა მეთოდებისა ბავშთა შორის მუშაობაში. მიზეზი ისაა, რომ კომკავშირშიაც დღესდღეობით არსებობს ბავშთა მოძრაობის ხასიათის გაუგებრობა, კონკრეტული ფორმებით მუშაობა ბავშთა შორის და მათი მონაწილეობა კლასიურ ბრძოლაში; აღნიშნულმა მოვლენამ შედეგად მოგვცა ის, რომ ბავშთა კავშირების მშენებლობა - ჩამოყალიბების დროს, მათ მუშაობაში გადაჰქონდათ პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციების ფორმები, და მით გადააქციეს ბავშთა მოძრაობა „ბავშთა პარტიებად" და მექანიკურად გადაიტანეს ყველა ლოზუნგები პარტიისა და კომკავშირის მუშაობისა ბავშთა ორგანიზაციებში.

ამასთან ერთად, ყურადღება აკლდა ბავშთა მოძრაობის ხელმძღვანელობას, არ იყო მიღებული თავის დროზე სათანადო ზომები მოახლოვებულ კრიზისის ამოსაფხვრელად. და აა, სწორედ ამიტომ საერთაშორისო ბავშთა შეკრების ჩატარებას ყველა ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

შეკრებამ უნდა მობილიზაცია უყოს მთელ მშრომელ საზოგადოებრიობას, განსაკუთრებით ბავშთა მასებს ორგანიზაციების გადახალისებისა და გამოცოცხლებისათვის.

შეკრებამ უნდა მიიპყროს მთავარი ყურადღება რევოლუციონურ მუშათა და მუშათა მასების ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციებისა, — უნდა შექმნას ფართო ტალღა დახმარებისათვის.

შეკრების კამპანია არის სერიოზული შემოწმება კომკავშირისა, მის ორგანიზაციულ ცოდნისა და ბავშთა შორის მუშაობის წარმოებისა, ეს არის ერთად-ერთი მთავარი ამოცანა შეკრებისა.

შეკრების მეორე ამოცანა ისაა, რომ ის მიმართულია საზღვარ-გარეთ ბავშთა ექსპლოატაციისა და ახალი ომის სამზადისის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მიმართ. თვით შეკრებამ და მთელმა შეკრების კამპანიამ უნდა აამოძრაოს ბავშთა ფართო მასები და დასახოს კონკრეტული გეგმები ბრძოლისათვის. მთავარია ის, რომ ეს შეკრება განამტკიცებს ინტერნაციონალურ კავშირს და სოლიდარობას პროლეტარულ ბავშთა შორის.

სხვადასხვა ეროვნების 20000 ბავშის შეხვედრას, გამოცდილებათა გაზიარებას, დელეგატების გაგზავნას, სახსრების შეგროვებას, ეჭვს გარეშეა, დიდი მნიშვნელობა ექნება. შეკრების პროგრამაში შედის: დემონსტრაციის მოწყობა, ბავშთა სპარტაკიადის ჩატარება, საღამოების მოწყობა მუშათა და ბავშთა შორის და სხვა.

შეკრება ტარდება ჰაალეში, მაგრამ საერთაშორისო შეკრების აღსანიშნავად შეკრებები და ფართო ახსნა-განმარტებები ტარდება მსოფლიოს ყველა მთავარ ქალაქში. განსაკუთრებული, დიდი მოსამზადებელი მუშაობა ამ მხრივ ჩატარებული არის გერმანიაში და თვით ჰაალეში. იქ ჩატარდება და ტარდება უკვე საქალაქო შეკრებები, დაწყებულია დიდი კამპანია სახსრების შესაგროვებლად, დელეგატების ასარჩევად და შეკრების დელეგატების მისაღებად.

ჰაალეს მუშები დიდის აღტაცებით გამოეხმაურნენ შეკრებას, ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ის განცხადებები, რომლებიც მათ შემოაქვთ დელეგატების მიღებაზე თავიანთ ბინებში. პროლეტარული ორგანიზაცია ჰაალეში აწყობს დელეგატების შეხვედრას, კვებას და სხვა.

ყველა ეს ტარდება პარტიის და კომკავშირის ენერგიული ხელმძღვანელობით.

აღნიშნულ შეკრების ჩატარებისათვის დიდი მუშაობაა გაშლილი საბჭოთა კავშირის მთელ საზოგადოებრიობაში და განსაკუთრებით პიონერთა ორგანიზაციებში.

საბჭოთა კავშირის პიონერებიდან დელეგატებად არჩეულნი არიან 21 პიონერი საერთაშორისო ბავშთა კონგრესზე დასასწრებლად. საბჭოთა პიონერები უნდა წარსდგენ აღნიშნულ შეკრებაზე თავიანთი გამოცდილებებით, რათა გადასცენ იქაურ ორგანიზაციებს სახელმძღვანელოდ ეს გამოცდილებანი.

ქ. ჰაალეს თვითმმართველობამ, რომლის სათავეში სდგანან ბურჟუაზიის დამქაშები—სოციალ-დემოკრატები, აკრძალეს მეორე საერთაშორისო შეკრების მოწყობა, რაც უნდა შემდგარიყო ჰაალეში.

აღნიშნულ დადგენილების წინააღმდეგ ილაშქრებს ჰაალეს კომუნისტური გაზეთი „კლასენკამპფი", რომელიც მოუწოდებს მუშა ახალგაზრდობას, რათა აკრძალვის საპასუხოდ აწარმოონ გაძლიერებული მუშაობა შეკრების მზადებისათვის.

მასთან დაკავშირებით კომიტეტმა, რომელიც აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას საერთაშორისო პროლეტარულ ბავშთა შეკრებისათვის — გამოუშვა მოწოდება გერმანიაში შეკრების აკრძალვასთან დაკავშირებით. კომიტეტი აცხადებს, რომ მეორე საერთაშორისო შეკრება მუშების და გლეხების შვილებისა მოეწყობა, თუ ჰაალეში არა, სხვა ადგილას მაინც.

კომიტეტი მოუწოდებს ყველა მუშას და მუშა ახალგაზრდას იბრძოლოს აღნიშნულ დადგენილების გასატარებლად; მოწოდება თავდება შემდეგის ლოზუნგებით: „ყველა ბავშო! ნორჩ პიონერთა ორგანიზაციებსა და ჯგუფებში!"

„დაეხმარეთ პიონერებს მეორე შეკრების მზადებისათვის"

გაუმარჯოს სამის თაობის: მუშების, მუშა ახალგაზრდობისა და მუშათა ბავშების შეკავშირებულს, ერთიან მებრძოლ ფრონტს".

გ. აბესაძე.

*) ჰაალეში აკრძალვის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვაწყოთ ინტერნაციონალური კუთხეები

ჩვენს პიონერულ რაზმებში ინტერნაციონალური მუშაობა შეუმჩნევლად და სუსტად მიმდინარეობს, ორგანიზატორებს არ ეხერხებათ, ზოგჯერ კი—ვერ ახერხებენ ბავშების დაინტერესებას.

ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალურ კუთხეს, მაგრამ მის მოწყობას ხშირად თითქმის ყურადღებასაც არ აქცევენ; ჩამოჰკიდებენ რაღაც პლაკატებს, და მორჩა. საკითხავია, ვის აქვს სურვილი ათვალიეროს მხოლოდ მშრალი ციფრები და დიაგრამები? მუშაობა სხვაგვარად უნდა წარიმართოს. უნდა მოეწყოს ისეთი კუთხე, რომელიც შემოიკრეფს და დააინტერესებს ბავშთა მასას.

ამისათვის საერთო რაზმის ბრიგადა, რომელიც აწარმოებს ინტერნაციონალურ მუშაობას, გამოჰყოფს ორ პიონერს, რომლებმაც უნდა მოაწყონ კუთხე. ბავში ორგანიზატორები ამოძრავებენ ინტერნაციონალურ წრეებს, რგოლებს და ყველა მსურველებს, ამიტომ საქმე დაყენებული უნდა იქნეს ისე, რომ ყოველ განყოფილებისათვის ვინმე იყოს პასუხისმგებელი. წრეები აგროვებენ ფაქტიურ მასალებს, შენიშვნებს და წერილებს პასუხის გასაცემად. სახვითი წრე მხატვრულად აფორმებს კუთხეს, ელექტროტექნიკური—მოაწყობს ელექტრო განყოფილებას და სხვ.

მუშაობის ნაწილს კისრულობს ბრიგადა, მაგალითად აწარმოებს მიწერ-მოწერას საზღვარ-გარეთელ რაზმებთან, თვალყურს ადევნებს ორგანიზაციულ მუშაობას რაზმში და იძლევა მის შესახებ ცნობებს.

მუშაობაში უნდა იყოს გარკვეულობა, ეს არის ყველაზე მთავარი. საჭიროა, რომ ხელმძღვანელმა და მთელმა რაზმმა იცოდეს, ვინ აწარმოებს მუშაობას, ან ვინ რა განყოფილებებზე აძლევს პასუხს. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ მუშაობა წავა უფრო უკეთესად, თუ ამას ხელს მოკიდებენ მოხალისენი.

ინტერნაციონალურ კუთხეში უნდა მოეწყოს რამდენიმე განყოფილება. მათ შორის მთავარია **„მსოფლიო პიონერის განყოფილება"**. ეს განყოფილება უნდა აცნობდეს ბავშვებს—ბავშთა კომუნისტურ მოძრაობის მნიშვნელოვან ამბებს. აქ შეიძლება წარმოადგინონ წერილები, სურათები, ფოტოები, დიაგრამები, ჟურნალ-გაზეთების ამონაჭრები.

ეს განყოფილება ისე საინტერესოდ და ორიგინალურად უნდა მოეწყოს, რომ ადვილად მიიპყროს ბავშების ყურადღება, განყოფილება შეიძლება მოეწყოს ასე: ცენტრში—მსოფლიოს რუკა, ალაგ-ალაგ სხვადასხვა ფერის პატარა დროშების ჩარჭობით: წითლები უნდა უჩვენებდეს პიონერთა კავშირებს, შავები—ფაშისტურს, ყვითელი—სოც.-დემოკრატებისას, ლურჯები—სკაუტებისას; ეს დროშები შეერთებულია ძაფების საშუალებით კოლოფებთან (ჩამოკიდებულია ქვევიდან გვერდით). ყოველ კოლოფზე მიწერილია ქვეყნის სახელწოდება. კოლოფების ქვეშ თავსდება შენიშვნები. შენიშვნები უფრო საინტერესო და ცოცხალი, როცა ისინი დასურათებული იქნება ჟურნალიდან ამოჭრილი სურათებით.

კოლოფების ქვევით კარგი იქნება დაიწყოს პატარა ჯიბეები და მუდმივად ვაწყოთ შიგ ახალი ბარათები საზღვარ-გარეთულ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

რაზმების და რგოლების ინტერნაციონალური მუშაობის გეგმა უნდა შეტანილ იქნეს განსაკუთრებულ მუხლში. იწერება ეს ოქმის სახით: ერთის მხრივ რა უნდა გაკეთდეს, მეორესი კი—რა გაკეთებულა.

ასეთივე მნიშვნელოვანია განყოფილება **„ბრძოლა ეროვნულ შუღლის წინააღმდეგ"**. ამ განყოფილებაში თავსდება ლოზუნგები და ლენინის თხზულებიდან ამოღებული ციტატები. საჭიროა აღნიშნული იქნეს ფაქტები პიონერების საკუთარ ცხოვრებიდან, პასუხები კითხვებზე. მაგალ: „ჩვენი კლასიური მტრები; რატომ ეპყრობიან ებრაელებს ცუდათ; თქვენის აზრით, რა უნდა ვუყოთ ანტისემიტ ბავშებს; ზოგიერთი ქართველი ბავში რატომ უყურებს ალმაცერად სომეხ ბავშებს და ზოგიერთი სომეხი ბავში—ქართველ ბავშებს, და როგორ გამოვასწოროთ ეს სასირცხვილო მოვლენა".

ამ განყოფილებამ ყოველმხრივად უნდა გააშუქოს ბრძოლა სკოლაში, რაზმსა და ოჯახში ეროვნულ შუღლის წინააღმდეგ. არის კიდევ ერთი განყოფილება, „რევოლუციონური კავშირი". აქ სწარმოებს მიწერ-მოწერა საზღვარ-გარეთულ რაზმებთან და ს. ს. რ. კ. ეროვნულ რაზმებთან და სკოლებთან, გამოჰკიდებენ გამოგზავნილ წერილების ასლებს და პასუხებს მასზე. აქვე მოთავსებულია გახსენება პიონერებისადმი ინტერნაციონალურ მიწერ-მოწერის შესახებ, რაც გვიჩვენებს ამას, თუ როგორ მიმდინარეობს ეს მიწერ-მოწერა.

საჭიროა შემოღებულ იქნეს უცხო ენათა პატარა განყოფილება. აქ უნდა მოთავსდეს ყოველგვარი მასალები უცხო ენებისა და წრეების შესახებ. იწერება იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ეს წრე, ვინ სწავლობს კარგად, ვინ ცუდად და სხვა. როდესაც ბავშები კუთხის ახლოს დგანან და ათვალიერებენ მას, ხშირად პოულობენ სხვადასხვა ნაკლს, სურთ მიაწოდონ სხვადასხვა პრაქტიკული წინადადებები. იმისთვის, რომ ეს წინადადებები არ დაიკარგოს, კუთხეებში ბლოკნოტები უნდა იყოს ჩამოკიდებული, სადაც ბავშები ჩასწერენ თავიანთ შენიშვნებს.

უნდა მოეწყოს აგრეთვე ცნობების გაცვლა. ქვევით, კუთხის მარცხენა მხარეს ჩამოკიდებული უნდა იქნას საფოსტო ყუთი. აქ ბავშები ჩაყრიან წერილობითი შეკითხვებს (რასაც კავშირი აქვს ინტერნაციონალურ მუშაობასთან). კვირაში ორჯერ ყუთის ახლოს გამოჰკიდებენ პასუხებს.

ბავშებო, თუ თქვენ კარგად ვერ გაერკვიეთ ინტერნაციონალურ კუთხის ჩამოყალიბების საკითხში, თუ თქვენ გჭირიათ დახმარება და რჩევა, თუ გაქვთ ახალი წინადადებები, წერილობით მიმართეთ ჟურნალ „პიონერის" რედაქციას.

## ჩვენი მხურვალე, პიონერული სალამი პროლეტარულ ბავშთა საერთაშორისო შეკრებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარი აიზმანი



ხუთი წლის განმავლობაში ის არ შეხვდება ამხანაგებს, მეგობრებს და მშრომელებს.

ხუთი წლის განმავლობაში მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებენ მტრები. არ მისცემენ სწავლის შესაძლებლობას. აუკრძალავენ წიგნების კითხვას, რომელიც ასე სწადია.

ხუთი წლით გამოგლიჯეს ცხოვრებას, ჩამოაშორეს იმ საქმეს, რომელიც მას ძალზე უყვარდა, მაგრამ ის გულს არ იტეხავს სჯერა, რომ გამარჯვება მისკენ იქნება.

ეს არის ბავში—გარი აიზმანი. მისი სახელი ნაცნობია ყოველ ამერიკელ პიონერისათვის.

გარი აიზმანი სწავლობდა ნიუ-იორკის მე-16 სკოლაში. აქ მან ჩამოაყალიბა პიონერრაზმი, სადაც შევიდა სკოლის ყველა პროლეტარული ბავში. მაგრამ ის ამით არ დაკმაყოფილდა. მან შეჰკრიბა რამოდენიმე, მასავით გაბედული ამხანაგი, და ჩამოაყალიბეს მთელი რიგი პიონერრაზმისა ნიუ-იორკის მუშათა უბნებში.

გასულ წლის ივლისში, პიონერების სასტიკი მტრები—ბოისკაუტები მიემგზავრებოდენ ნიუ-იორკიდან ინგლისში „ჯემბორი“-ზე დასასწრებლად. ,,ჯემბორი'' სკაუტების საერთაშორისო ყრილობაა.

უზარმაზარ და მდიდარ საოკეანო გემით მიემგზავრებოდენ სკაუტები. მათ მეგობრების და მშობლების მთელი ჯგუფები აცილებდენ. უცბად დოლმა დაიგრიალა. ბაქანზე გამოჩნდა პიონერული რაზმი. რაზმს მოუძღოდა აიზმანი. ის ყუთზე შეხტა და დაიწყო სტვენა.

მას არ ეშინოდა გარშემორტყმული მტრის და გაბედულად ამხილა **,,პატარა იმპერიალისტები''**—სკაუტები. მოუწოდებდა ბავშვებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გაჩნდა ცხენოსანი პოლიციის რაზმი. პოლიციელები შეიჭრენ პიონერებში. როცა პოლიციელი მივარდა გარი აიზმანს, უკანასკნელმა მაგრად ჩასჭიდა ხელი ცხენის აღვირს; გარი მაშინათვე დაატუსაღეს ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობის გაწევისათვის.

რამდენიმე დღის შემდეგ გარი გაასამართლეს. სასამართლოში მან ბოისკაუტების საწინააღმდეგო სიტყვა წარმოთქვა. სასამართლომ მიუსაჯა პატარა გარის ექვსი თვე საპყრობილეში ჯდომა.

საპყრობილეში გარი აიზმანი ჩასვეს ქურდებთან და დამცემებთან ერთად. მას უხეშად ეპყრობოდენ. ამის საპროტესტოდ გარიმ სიმშილობა გამოაცხადა, ჯალათები მოიკაკვეს. ისინი იძულებულნი გახდენ ფრთხილად მოპყრობოდენ გარის.

როცა გარის მისჯილი ვადა შეუსრულდა, საპყრობილის უფროსმა უთხრა მას:

— თუ კიდევ ჩაგიგდეთ ხელში, შენი საქმე ცუდად წავა! იცოდე არ დაგზოგავთ, ფრთხილად იყავი!

გარი როდი ეკუთვნის იმათ რიცხვს, ვისი შეშინებაც ადვილი საქმეა. ექვს მარტს, უმუშევრობასთან ბრძოლის საერთოშორისო დღეს, ნიუ-იორკის ასიათასი უმუშევარი გამოვიდა ქუჩაში მოთხოვნილებით: **„პური ან სამუშაო!“**

გარი მათთან იყო. ის კვლავ დაატუსაღეს. 20 მარტს სასამართლოს წინაშე წარსდგა.

განაჩენი ასეთი იყო;

„ხუთი წელი გამასწორებელი საპყრობილე“.

ამ უმაგალითო განაჩენმა ააღელვა ამერიკის მუშები. ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ბალტიმორეში—ყველგან მოეწყო დიდი საპროტესტო მიტინგები. საპყრობილის კარებთან მოწყობილ მუშათა დიდმა მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია: ,,განთავისუფლებულ იქნეს გარი აიზმანი“.

გარი აიზმანი არ გაანთავისუფლეს! კლასიურ მტერს მაგრად უჭირავს ის თავის კლანჭებში, მაგრამ გარი აიზმანის ამხანაგები თავისუფლად არიან. გარის მიერ შექმნილი რაზმი იზრდება და მტკიცდება.

პიონერული მოძრაობა ამერიკაში ჯალათებმა ვერ ჩაჰკლეს; ეს მოძრაობა გაიმარჯვებს.

**საერთაშორისო წითელი დღე გამართული უნდა იქნეს—ახალი ომების გამღვივებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად!**

# ინდოეთო, აღსდექ!

რის მარგალიტი, რა მარგალიტი!

ინდოეთი.

„რა ვიცით ჩვენ ინდოეთზე?!

„მხოლოდ გაზეთებიდან ვიცით რომ:

„ინდოეთი ამბოხების ცეცხლშია გახვეული.

„ინდოეთი ჯანყისა და სისხლის მორევშია.

„მდინარე განგი ნაპირების გადმოლახვას აპირებს.

განგი! ეს ის განგია, რომლის შესახებ ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია:

„მდინარე განგის ნაპირს მოადგა,
გალატაკებულ ხალხის ლაშქარი!".

ინდოეთი! ეს ის ინდოეთია, რომლის შესახებ ამღერდა ინდოეთის ერთ-ერთი სტუმარი:

—„უთვალავია თვალ-მარგალიტი, საკვირველებათა შორეულ ინდოეთში"...

—არა, ეს ის ინდოეთი როდია.

რის მარგალიტი, რა მარგალიტი! ჩვენ გვსურს გავიგოთ, რად ეძახიან ინდოეთს **„ბრიტანეთის მარგალიტს!"** ნუთუ, ვერ გაიგეთ?

ინდოეთში მოიპოვება ქვანახშირი და მადნეულობანი.

ინდოეთი ხორბლისა და ქერის ქვეყანაა.

ინდოეთი ბამბის და შაქრის ლერწამის სამეფოა.

რად არ იქნება „მარგალიტი" ბრიტანეთისათვის?

რად არ უნდა გადაიქცეს ის იმპერიალისტების შემოსავლიან ახალშენად?!.

**თავდასხმა მირუტზე.**

ისინი დაძრწიან ყველგან, ღამით—ქოხებში, ჯურღმულებში, ქუჩებში, სარდაფებში.

ინგლისის ჟანდარმერია კი—სჩხრეკდა ინდოეთს.

ეს იყო წარსულ წლის 20—21 მარტს. ატუსაღებდნენ ყველა იმათ, ვინც თანახმად საბრალმდებლო დასკვნისა—მონაწილეობდა ინგლისის მეფის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში, რომ დაემყარებიათ ინდოეთში პროლეტარიატის დიქტატურა, მესამე ინტერნაციონალის—ხელმძღვანელობით.

იმ ღამეს მირუტის ციხეში ასობით ჩაჰყარეს კომუნისტური და მუშათა პარტიების საუკეთესო ხელადები.

მირუტის პროცესის შემდეგ სრული ერთი წელი გავიდა.

ინგლისში მოხდა ხელისუფლების **„რეორგანიზაცია"**.

კონსერვატორ ბოლდუინის ადგილი დაიკავა გამცემმა სოციალ-დემოკრატ მაკდონალდმა; მიუხედავათ ამისა, მირუტის პროცესი არ შენელებულა.

მხოლოდ ტუსაღებს დღითი—დღე ემატებოდენ ახალი ტუსაღები. უმაღლეს სასამართლოში გადაცემული საქმე, მიუხედავად მუშათა პროტესტისა, დამცველების გარეშე ირჩეოდა.

**სიტყვა, რომელიც ლორდებს არ გაეგებათ.**

ინგლისელი ლორდები ბრჭყვიალა მონოკლიდან ზიზღით იხედებიან და თითქოს გეკითხებიან:

—მონობა! რა არის მონობა?—ჩვენ არ გვესმის ეს სიტყვა!

მართლაც, ინდოეთში მონობა მხოლოდ ფორმალურად არ არის, არსებითად კი: ინდოეთში 34 მილიონი მუშაა, რომელთა მესამედი ახალგაზრდობისაგან შესდგება. 60 პრ. მუშებისა იღებს 50—55 კაპ. დღეში. პლანტაციებში კი—ქმარი, ცოლი და შვილი ძლივს იღებენ დღეში 50-60 კაპ.

ეს ხდება 16—20 საათის სამუშაო დღეში.

8 წლის ბავშვის მუშაობა—ჩვეულებრივი მოვლენაა ინდოეთში.

არანაკლებად მძიმეა გლეხების მდგომარეობა.

ინდოეთში 320 მილიონ მცხოვრებთაგან 70 % ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მიწის 60 % მევახშეებისა და მსხვილ მიწათმფლობელების ხელშია.

ამჟამად ინდოელ გლეხებს მძიმე უღლად აწევთ სხვადასხვა ვალები, რომლის საერთო რაოდენობა 6 მილიარდამდე აღწევს.




**ბავშვების 86 პროცენტი იხოცება.**

„40 მილიონი ინდოელი—წლიდან-წლამდე სიმშილობს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში". ვინ არის ამ წიგნის ავტორი?—**რამზეი მაკდონალდი!**

სწორედ ის მაკდონალდი გახლავთ, რომელიც ეხლა თვითონ ინგლისის „მუშათა" მთავრობის სათავეშია მოქცეული და ამ სიმშილს მხარს უჭერს და ხელს უწყობს.

აი, რას სწერს ბომბეის სანიტარული ექიმი—**ბორნესი:**

„ოთახში მოთავსებული იყო 30 კაცამდე, რომელთაგან სამი ქალი მშობიარობის მოლოდინში იყო. მშობიარობა ერთ ვიწრო ფართობზე უნდა მომხდარიყო. თვითეულ ოჯახს მიჩნეული ჰქონდა საკუთარი კერა, სამი აგურისაგან შემდგარი, სხვა მორთულობა არავითარი.

ოფიციალურ ცნობების თანახმად ასეთ პირობებში დაბადებულ ბავშვების 86 პროცენტი ორ-წლამდე ვერ აღწევს. ასეთი სიკვდილიანობაა მთელს მსოფლიოში. საერთოდ ინდოეთში კაცის სიცოცხლე საშუალოდ 24 წ. აღწევს, როცა ინგლისში—სიცოცხლის ხანგრძლივობა უდრის 46 წელს.

**რატომ არის მაგარი ცეილონის ჩაი?**

იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანთა 90 პროცენტი იხოცება, როგორ ეპყრობიან იქ ბავშის შრომას?

ჰო, ბავშის ოფლი ყველაზე უფრო იაფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენრაიონის პიონერთა ბანაკი ქვიშხეთში

იქნებ გგონიათ, ინდოეთში არ არსებობდეს ბავშთა შრომის დაცვის კანონი!

არა! არსებობს, როგორ არა, მაგრამ ai, შიგ რა სწერია:

„12 წლამდე ბავში სამუშაოზე არ დაიშვება“.

როგორ უნდა წაიკითხონ ეს კანონი წერა-კითხვის უცოდინარებმა?

ან, როგორ უნდა იყოს გამორკვეული ბავშის წლოვანება, როდესაც თვითონ მშობლებმაც არ იციან მისი დაბადების დრო.

მარტო პოლიციელი თუ გამოარკვევს მას. არკვევს კიდეც.

ასე იწყება ინდოეთში ახალგაზრდა პროლეტარის ცხოვრება.

შენგოლების ერთ-ერთ წარმოებაში 10-15 წლის ბავში ჩვენი ფულით თვეში იღებს 3 მანეთს.

ყველაზე მაღალ ხელფასს, ჩვენი ფულით 5 მანეთამდე თვეში, მალაროსის საფეიქრო ქარხანა იძლევა.

სამაგიეროდ ჩაის პლანტაციებზე კიდევაც ეპატიჟებიან სამუშაოდ, მაგრამ მხოლოდ ცოლშვილიანებს. ეს იმიტომ, რომ შეიძლება ცოლშვილიც ამუშაონ! აბა, შეხედეთ, ვინ მუშაობს ჩაის პლანტაციებში? არა მარტო ქალები, არამედ 4—5 წ. ბავშებიც კი. ვსთქვათ, შენ გუშინ დაიბადე. დღეს შემთხვევით სიკვდილს გადაურჩი, ხვალ კიმიდი და სამხრეთის მცხუნარე მზის ქვეშ იმუშავე პლანტაციებში და სათითაოდ კრიფე ჩაის ფოთლები.

რათ არის ცეილონის ჩაი ასე მაგარი?

ეს იმათი სისხლისაგანაა, ვინც მშიერ-მწყურვალი ლუკმა პურისთვის აგროვებს მის ფოთლებს.

**მარილი ჭრილობებზე.**

ინდოეთში მარილის კანონია გამოცემული, მარილის ამოღება და მისი გაყიდვა მხოლოდ ინგლისელებს შეუძლიათ. ინდოელებს კი—შეუძლიათ მხოლოდ იყიდონ ის, ან საკუთარ ცრემლის მორევით დაკმაყოფილდენ. მაგრამ ფასიც ავარდა ზევით, როგორც ციებ-ცხელებიან ავადმყოფის ტერმომეტრში ვერცხლის წყალი.

ის უკვე მიუწვდომელია ღარიბთათვის. ზღვის სივრცის ყოველი კილომეტრი ინგლისის ჯარისკაცების მიერ ალყაშემორტყმულია, რათა ინდოელმა არ გაბედოს მისი ამოღება.

მარილის კანონის დამრღვევთ საპატიმროში გზავნიან.

ხუთასათასმა კაცმა დროშებივით მაღლა ასწიეს ზღვის მარილიანი წყლით სავსე ქოთნები და გამოვიდენ სადემონსტრაციოდ. ყვიროდენ:

— ეს მარილი ჩვენ თვითონ ვიშოვეთ, ეს ჩვენი მარილია!!!

ინდოელები ძალით იტაცებენ მარილს, ან საჩუქრად იღებენ მას.

მარილს კიდევ ერთი თვისება აქვს: ის იარებს აჩენს სხეულზე.

მარილი რომ ჭრილობაზე დააყარო, თვით უთვინიერეს და თავმდაბალ მონასაც გააცოფებს.

**განდი წახდა.**

მისი მოკლე და ლამაზი სახელი დღეს ყველას გაუგონია.

განდი!

მახანდას კარამჩად განდი.



ლენრაიონის პიონერები ბანაკად ქვიშხეთში

შეხედეთ მის სურათს; ის უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე ოციოდე სტრიქონი, მის შესახებ მოხდენილად დაწერილი.

შეხედეთ ამ გაძვალტყავებულ ჩონჩხს, სათვალეებიანს, ამ ცბიერ ტუჩებს, ამ სუბუქ ჩაცმულობას „წმინდანისას“.

ეს არის: კერენსკი — უბეწვოდ, ტოლსტოი — უწვეროთ.

ასეთია განდი პოლიტიკაშიაც. ინდოეთის ბურჟუაზიულ პარტიის და ინდოეთის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი.

რას შეიცავს „განმათავისუფლებელი“ პოლიტიკა?

აი, რას:

„რომ ინგლისის იმპერიალისტების მაგიერ თვითონ მართოს ინდოეთის მუშური მოსახლეობა“.

ამიტომ იყო, რომ განდიმ, როგორც მღვდელმა საკურთხევლიდან, გამოაცხადა „ინგლისელებთან თანამშრომლობის საწინააღმდეგო პროგრამა“ (1920 წ.), მაგრამ ინდოელ მუშებს და გლეხებს არ სჭირდებათ განდისებრ მყვირალა ბელადები, რომლებიც ნაცვლად იმისა, რომ ხალხს აჯანყების დროშა აფრიალებიოს „მშვიდობიან“ ცხოვრებისაკენ მოუწოდებენ.

„ო, ეს არ არის ისე საშიში, სისხლი აღარ დაიღვრება“.

ინდოეთის რევოლუციონერებს არ სჭირდებათ ისეთი ბელადები, როგორც განდია.

ის წერილობით მადლობას უგზავნის ინგლისის პოლიციას ზრდილობიანი მოპყრობისათვის და მგრძნობიარედ ატყობინებს „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტს:

„მე მთელი ჩემი გულწრფელობით უნდა გითხრათ, რომ ყოველგვარი ზომები მივიღე, რათა ხალხი არ აღელვებულიყო ჩემი დატუსაღების გამო“.

ტყუილათ მიიღო განდიმ გამაფრთხილებელი ზომები: მშრომელმა ხალხმა მაინც არ გაუგონა მას.

**ყალბი პარლამენტისა და ნამდვილი „პატრონის“ შესახებ.**

მთელი ინდოეთი დაყოფილია პროვინციებად და „პრეზიდენტების“ სამფლობელოებად. მათი მბრძანებელი კი, ინგლისის ვიცე-კოროლია; ის ინიშნება ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ.

ვიცე-კოროლს მხარს უმშვენებს რაღაც „პარლამენტის“ მსგავსი.

„რაღაც“ — ვამბობთ ჩვენ იმიტომ, რომ პარლამენტი ბრმა იარაღია ინგლისელ მოხელეებისა და მხედრობისათვის.

სამხედრო მოხელეები — აი, მთავარი ძალა.

350.000, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ჯარი თავისი საზღვაო ფლოტით იცავს ინგლისის კაპიტალს.

ჯარი კი — ინდოეთის ხარჯზე იმყოფება, უკეთ რომ ვსთქვათ, ინდოელ მუშებისა და გლეხების ხარჯზეა.

მრავალმილიონიანი ინდოეთის მოსახლეობა — საუკეთესო ბაზარია ინგლისის ფაბრიკანტებისათვის.

ინგლისის მრეწველობის გვერდით ჩაისახა ინდოეთის ნაციონალური მრეწველობა. ინდოეთის კაპიტალი და ინდოეთის ნაციონალური ბურჟუაზია გაიზარდა და განმტკიცდა განსაკუთრებით ომიანობის ხანებში.

მაგრამ ინდოეთის ნაციონალისტები მუდამ ნაციონალისტებად დარჩებიან — ესე იგი — ისეთივე კაპიტალისტებად, როგორიც არიან მათი „ხაზეინები“. ისინი ვერ გახდებიან რევოლიუციონერები, რომ დაიცვან ინდოეთის პროლეტარიატის ინტერესები და მათთან ერთად იბრძოლონ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ინდოეთში.

მიუხედავათ ამისა ინდოეთის ძირითადი მოსახლეობა — გლეხობა — ეხლა ხელიხელ-ჩაკიდებული იბრძვის ინდოეთის მუშებთან ერთად.



ლენრაიონის პიონერთა ბანაკი ქვიშხეთში. ანძის ამართავა.

**მარგალიტი ირყევა.**

„ინდოეთი იხრჩობა ბრიტანეთის იმპერიალისტების ქუსლების ქვეშ“. ასე სწერდა გასულ წელს კომინტერნი თავის მოწოდებაში. მაგრამ იმპერიალიზმის ცეცხლჩამქრობი რაზმი მაინც ვერ ჩააქრობს ინდოეთის რევოლუციის ხანძარს.

შეირყა მარგალიტი ინგლისის გვირგვინზე.

ინგლისის პოლიციამ დაატუსაღა ნაციონალური კონგრესის წევრები.

ინგლისის პოლიციამ დაატუსაღა აგრეთვე ინდოეთის ნაციონალური ბურჟუაზიის ბელადი განდი, მაგრამ, განა შეიძლება ხალხის დატუსაღება!

ხალხი უნდა ამოსწყვიტო, თორემ ციხეში ვერ დაეტევა და, სწორედ 5 აპრილს ქალაქ კალკუტაში, სადაც გაფიცვა გამოაცხადა რკინისგზელთა 15 ათასიანმა არმიამ, მოხდა შეტაკება, საცა სისხლის მდინარე დააყენეს.

25 აპრილიდან ქ. სიმაში ტყვია დაუშინეს გაფიცულთა გროვას.

ინგლისის ჰაეროპლანები ბომბებით და დინამიტებით ანადგურებენ ინდოეთის სოფლებს. ყოველდღე ინდოეთის საზღვარზე გადმოდის ინგლისის დესანტი (საზღვაო ქვეითი ჯარი).

მაგრამ ინგლისის მუშებს არ უნდათ თავიანთი ძმების წინააღმდეგ გალაშქარება. კომუნისტების ხელმძღვნელობით ისინი აწყობენ მთელ რიგ გაფიცვებს და საპროტესტო დემონსტრაციებს:

— არც ერთ ჯარის კაცს, არც ერთ შაშხანას არ გადავიტანთ ინდოეთში რევოლუციონურ მოძრაობის ჩასაქრობად“, — აი, რა გადასწყვიტეს ინგლისის მუშებმა. უცხოელების ჯარში იწყება არევ-დარევა. პეშევარში ინდოელი ჯარისკაცები მთელი რაზმებად შეუერთდენ აჯანყებულ მუშებს.

ზარბაზნებით და ტყვიებით არ შეიძლება მშიერ და დაბეჩავებულ ხალხის დაკმაყოფილება.

ამით შეიძლება მხოლოდ მისი გამოფხიზლება.

ინდოეთო, აღსდექ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაბრიკა—სამზარეულო

როდესაც მგზავრი კვამლის სუნს იგრძნობს, მან იცის, რომ სადღაც ახლოა ადამიანის საცხოვრებელი. კვამლი—ცეცხლის ნიშანია; ცეცხლი—კერიის მაჩვენებელი. ადამიანის საცხოვრებელი წარმოიშვა კერიისაგან.

ადამიანის საცხოვრებელმა თანდათან გაფართოვება იწყო, კერამ კი უკანასკნელი ადგილი დაიკავა. კერა წინა შესასვლელიდან უკანა ოთახში გადაიტანეს, სამზარეულოში. სამზარეულოს კი დაეპატრონენ წვერებიანი ხოჭოები, ობობებმა სამზარეულოს კუთხეებში დახაზეს ქსელების მერიდიანები. სამზარეულო მოექცა სახლის უკან, ქუჩიდან ის არავის შეეძლო დაენახა. სარეცხი წყალი ვედროებით სამზარეულოში იდგა, წვენი პირველად ხოჭოებს უნდა გაესინჯათ, იატაკ ქვეშ კი—თაგვების აურზაური იყო. სიცხე, ბული თვალებს სწვავდა. დიასახლისების ყვირილი, ჩხუბი, პრიმუსის ხმაურობას აჭარბებდა. ტალახი, ჭუჭყი—ყოველგვარი სიბინძურე—ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო.



ფაბრიკა-სამზარეულო, სადაც მზადდება 10 ათასი კაცის სადილი.

საცხოვრებელში რევოლუციამ უკანა კარებიდან იწყო ნელ-ნელა შესვლა, დაიწყო სამზარეულოს გადახალისება, სადაც ჩვენი დედები და დები წლობით აუტანელ სატანჯველში იმყოფებოდენ და იყვნენ მურში ამოსვრილნი. დიდი ხანია დადგა მათი განთავისუფლების დრო. ტექნიკით შეიარაღებულმა რევოლუციამ გადაახალისა სამზარეულო, შემოიღო ახალი წყობილება. ყველაფერი მოეწყო ტექნიკოსების მეთაურობით.

ეხლანდელი სამზარეულო მშვენივრად შეგვიძლია ქუჩიდან დავინახოთ; მას უჭირავს სამსართულიანი და მზიანი სახლი. ეს სახლი სპეციალურად აშენებულია სამზარეულოსათვის და უწოდებენ ფაბრიკა-სამზარეულოს. დიდი ხანი არ არის, მას შემდეგ, რაც მოსკოვში გახსნეს ასეთივე ფაბრიკა,—საუზმე-სადილ-ვახშამისათვის. ყველას თავისუფლად შეუძლია შიგ შესვლა და მცირედი გადასახადით დაიკმაყოფილოს თავის მოთხოვნილება.



ჭურჭლების მექანიკურად გასარეცხი.

ქუჩიდან შესვლისთანავე მოხვდები დიდ დერეფანში, სადაც არის წარწერა: „ამხანაგებო, აქ დასტოვეთ ზედა ტანთსაცმელი, გარდერობი უფასოა“. ზედა ტანთსაცმელის გახდის შემდეგ ბევრი მიეშურება სადილის წინ ხელ-პირის დასაბანად. იქვე არის მშვენიერი მარმარილოს ხელ-საბანები, რომლებშიც ქაფქაფებს ცხელი და ცივი წყალი.

ზემოთ სასადილო ოთახებისაკენ მიიმართიბა სამი ფართე კიბე. ყოველ კიბეზე შუა ადგილას არის პატარა მოედანი, სადაც დგას დიდი ყუთი სუფრის მოწყობილობით. სალაროში ფულის გადახდის შემდეგ აქ დაიტვირთებიან დანა-ჩანგლით და ჩხრიალ-ჩხრიალით მიეშურებიან სასადილო ოთახისაკენ. ოთახები ძალიან დიდებია. თავისუფლად შეუძლია ისადილოს შიგ 1450 კაცმა. ფანჯრები ისეთი დიდები აქვს, რომ გეგონებათ მინის მთელი კედელია და არა ფანჯარა. მაგიდები აუარებელი სდგას შიგ, არავის სჭირდება რიგში გაჩერება და ლოდინი რომელიმე მოსადილისთან. სადილსაც იმ წუთშივე მიიღებთ. საჭმელები ამოაქვთ დაბლიდან მანქანებით. ყოველ ამომტან მანქანასთან არის ელსმენი, ზევიდან თხოულობენ:

— თქვენ გესმით? წვენი თავდება, ბატკანი კიდევ საჭიროა, მოგვაწოდე!

ქვევიდან უპასუხებენ:

— გაწოდებთ ათას ულუფა წვენს და ორას ულუფა ბატკანს.

წვენს და ბატკნის ხორცს ჩადგამენ მანქანაში და თვალის დახამხამებაში აასრიალებენ ზევით. იქ ამოიღებენ, დგამენ ეგრედწოდებულ „მარმიტებზე“, ეს მარმიტი ცხელდება მდუღარე ორთქლით და სადილი ყოველთვის ცხელად არის შენახული.

სადილის გათავების შემდეგ ქალები აგროვებენ ჭუჭყიან ჭურჭელს და ამის შემდეგ რამდენიმე ოთახის კუთხეში ხდება სასწაული. ოთახის კუთხეში ამ ჭუჭყიან თეფშებს ჩააწყობენ „კონვეირზე“ და იმ წუთშივე ჩასრიალდება ძირს, ასეთივე წესით მეორე კუთხიდან ამოაქვს მანქანას სუფთა თეფშები.

აი, ასე სადილობენ ფაბრიკა—სამზარეულოში. სადილის შემდეგ მსურველს შეუძლია გავიდეს სახურავზე და ისუნთქოს წმინდა ჰაერი. აქედან მთელი ქალაქი მის წინ არის გადაშლილი. ცუდ ამინდის დროს კი, ისვენებენ სპეციალურად დასასვენებლად მოწყობილ დიდ ოთახებში, სადაც ერთობიან სხვადასხვა გასართობებით: აქ თამაშობენ ჭადრაკს, ისმენენ რადიოს და კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს და ამრიგად ინელებენ საჭმელს.

მაგრამ ყველაზე საინტერესო რამ ხდება დაბლა სართულში, თვით სამზარეულოში. აქ დარწმუნდები, რომ ეს არის ნამდვილად ფაბრიკა-სამზარეულო, რომელიც მოწყობილია მოხერხებული მანქანებით. მანქანების შტატი ძალიან დიდია. მანქანა-მტვირთავი ცლის ავტომობილს, რომელიც სავსეა სურსათით. მანქანა-მწონავი თვითონ წონის და ნიშნავს წონას. მანქანა-შემნახველი ცდილობს, არ გაფუჭდეს ხორცი და თვითონ ინახავს შესაფერ ადგილას. ისინი ამზადებენ ხელოვნური ყინვას, ამათ ყავთ თანაშემწე-მანქანა-გამყინავი, რომლებსაც შეუძლია გააკეთონ პატარა აპარატები, კართოფილის გამწმენდი, ხილის მთლელი და ალუბლიდან კურკის გამომლები.

წვენი იხარშება 22 დიდ ქვაბში. თეთრ და გაპრიალებულ ქვაბების სახურავებზე მორიგეობენ ისეთი მოწყობილობები, რომლებიც ადუღებისთანავე აცნობებს მუშებს წვენის ადუღებას. გარედან ეს ქვაბები ცივია, მუშები-მზარეულები ისეთივე თეთრ ტანსაცმელში არიან, როგორც ქვაბები. ქვაბები ცხელდება ორთქლით. დიდ ადუღებულ ქვაბებიდან გაყვანილი არის წითელი მილები, რომელშიაც გადის ორთქლი; შეასრულებს თუ არა ორთქლი თავის მოვალეობას, ბრუნდება უკან ლურჯი მილებით. ორთქლის განმანაწილებულ ცენტრში ეს წითელი და ლურჯი მილები ძალიან წააგავს ადამიანის არტერიებს და ვენებს, რომელიც დახატულია ანატოატლასებში.

მარტო მოხრაკულები კეთდება ცეცხლზე. არის დაბალი პლიტები, სადაც გუგუნებს ფორსუნკები, ნავთით ანთებული. პლიტის გარშემო არაჩვეულებრივი სისუფთავეა. მოწყობილია ვენტილიაცია, რომელიც სიმხურვალეს ანელებს და ჰაერს წმენდს.

ფაბრიკა-სამზარეულოს მარმარილოს მაგიდები არ გვანან იმ წინანდელ სამზარეულოს მაგიდებს, რომელიც იყვნენ გათხუპნული და დასერილი ჭუჭყიანი დანებით!

ფაბრიკაში არის სხვა ბევრი მანქანები ყველა მათგანს აქვს თავისი რთული მოვალეობა. ზოგი მანქანა დაულალავად ცომს ზილს, მეორე ხარდალს საცერში ატარებს, მესამე ჭურჭლებს რეცხს მდუღარეში. ესენი აკეთებენ ძეხვებს, პურს სჭრიან და სხვა.

ფაბრიკა-სამზარეულოს შეუძლია დღეში დაამზადოს 24400 კაცის სადილი. მარტო 6000 კაცის სადილი არის განსაზღვრული ადგილობრივად, დანარჩენი კი მიაქვთ ქალაქში და ქალაქ-გარეთ. ყველას შეუძლია მიიღოს 45 კ.—30 კ. მშვენიერი ცხელი ახალი სადილი. ფაბრიკა—სამზარეულოს შენობაში არის შესანიშნავი მაღაზიები, სადაც იყიდება დაუმზადებელი სადილი. ყველა დიასახლისს შეუძლია იყიდოს აქ შეუწვავი კატლეთი, გახეხილი სტაფილო და სხვა. სახლში დიასახლისი ხუთ წუთში დაამზადებს ამ ფაბრიკა-სამზარეულოს დაუმთავრებულ სადილს. ასეთი სადილი გემრიელად შეერგება ადამიანს.

## დეპეშა გორიდან

საბჭოთა კავშირის დელეგაციის ბერლინში შესასვლელ ნებართვის გაცემაზე უარის განცხადებასთან დაკავშირებით გორის პიონერებმა, მუშებთან, გლეხებთან და პიონერთა ბანაკთან ერთად მოვაწყვეთ საპროტესტო დემონსტრაცია, მფრინავი მიტინგი. შეკრებასთან დაკავშირებით განვაგრძობთ ინტერნაციონალური დახმარების ფონდისათვის თანხების შეგროვებას, ვაძლიერებთ ინტერნაციონალურ მუშაობას, ვემზადებით მოსავლის აკრეფის და პურის დამზადების სამდლიურისათვის. ჩამოვაყალიბეთ 10 ახალი ჯგუფი, რომელშიაც გაერთიანებულია 600 პიონერი, 25-ს ყველა პიონერები ვმუშაობთ კოლმეურნეობაში, 27-ს ვაწყობთ შეკრების დემონსტრაციას.

ჩვენი მხურვალე სალამი შეკრების დელეგატებს! მებრძოლი სალამი გერმანელ ბოლშევიკებს!

გაუმარჯოს შეკრებას და საერთაშორისო პიონერიას!

გაუმარჯოს კომკავშირს და მის მებრძოლ შტაბს—აკის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საავტომობილო ქარხანა

პირველი საბჭოთა „ფორდი"—ასე ეძახიან მას.

ესაა ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში.

ეს პირველი საავტომობილო ქარხანა გაიხსნა მართლაც ბოლშევიკური ტემპით.

მისი შენება დაიწყო შარშან, აგვისტოს პირველ რიცხვებში. მის ადგილზე იყო ძველი წისქვილი, ქარხანა „ოქტომბრის საყვირის" შენობები. ეს ქარხანა გადააკეთეს, მოუმატეს ახალი შენობები, მანქანები, იარაღები ყოველმხრივ სრულიად გადაახალისეს და აი, უკვე ჩააბეს ჩვენს მრეწველობის ფერხულში.

ქარხანა აშენებულია ნიადაგმაგრად, ამერიკულად. ამ ახალ მოწყობილებათა ნაწილი—საბჭოთა კავშირში—პირველად აქაა შემოღებული ხმარებაში. სამუშაოთა უმეტესი ნაწილი მექანიკურად სრულდება. მუშაობა სწარმოებს ფორდის (გვარია ამერიკაში უდიდეს საავტომობილო ქარხნის პატრონისა) სისტემით მაგრამ ფორდის სისტემაში აქ შეტანილია დიდი პრინციპიალური მნიშვნელობის შესწორებები.

ნიჟნი-ნოვგოროდის ავტო-საამწყობო ქარხანა შიმუშა გარდაქმნილი არ იქნება ავტომატად, არ ეცოდინება მხოლოდ დასწავლილი მოძრაობები, არამედ ყოველი მუშა თანდათანობით გაივლის ყველა ეტაპებს აწყობისას, შეისწავლის ავტომობილის მონტაჟის ყველა ოპერაციებს. კონვეირზე მუშაობის სისწრაფე აქ ვინმე „ხაზეინის" დაყვირებით კი არ მიიღწევა, არამედ კოლექტიური ნებით და თანამშრომლობით. ყოველ მუშას ეცოდინება, რომ შეფერხებით ის აჩერებს საერთო საქმეს და ძირსა სწევს ამხანაგების ნაწარმოების გაუკეთესებას, გამომუშავებას.

მოძრავი კონვეირი—უკანასკნელი ეტაპია ავტო-მანქანის აწყობის. აქამდე მან უნდა გაიაროს ათეული ოპერაციები.

ავტოსაამწყობრო ქარხნის პირველ კორპუსში (განყოფილებაში) ყუთებიდან იღებენ ამერიკიდან მიღებულ მანქანის ნაწილებს. მეორე კორპუსში აგროვებენ ამ ნაწილებს, იწმინდება და ილებება.

ცეხის მეორე ნახევარში ხდება აწყობა ავტოს უკანა მხრის და შოფერის საჯდომის, გამართულობის. აწყობილ ბაქანს ღებავენ ერთხელ; მთლად აწყობის შემდეგ სამჯერ ილებება. ასე ერთმანეთს მისდევენ ავტოები განყოფილებიდან — განყოფილებაში. ყოველგან უკეთდება სხვადასხვა ნაწილები, ბოლოს ჩასდებენ ავტოს გულს, ძრავს (მოტორს), მერე უკეთებენ სამართავ მოწყობილებას (საჭეს და სხვას), თითქმის უკვე სამი-ოთხი მოძრაობა და უკანასკნელი ოპერაცია, რომელიც გასტანს 3 საათსა და 40 წუთს—აწყობა დამთავრებულია, ავტომობილი უკვე მზადაა.

ჩაასხეს ბენზინი. შოფერი მიუჯდა საჭეს. აამოძრავა. აგუგუნდა. გამოგრიალდა პირველი საბჭოთა „ფორდი", პირველი მანქანა ნიჟნი-ნოვგოროდის საავტოამწყობრო ქარხნის მიერ გამართული.

მუშები ერთმანეთს ულოცავენ გამარჯვებას, ტაში, ხმაური, მუსიკის გრიალი ერთმანეთში ირევა, მოღიმარე სახეები იმედიანად იყურებიან.

დიახ, სიხარული, აღტაცება, სიამაყე ენტუზიაზმი სუფევს ამ დღეს, ქარხნის გახსნის დღეს.

მოდი და ნუ გაგეხარდება, როცა უყურებ ამ სურათს და ამ პატარა მწვანე, ნახევარტონიან, ნახევარად საბარგო „ფორდს", ეს ხომ ჩვენი „საბჭოთა ფორდია"? ის ხომ მთლიანად აქაა აწყობილი, საბჭოთა ქარხანაში, რომელიც აშენდა ნახევარი წლის განმავლობაში.

გაივლის ცოტაოდენი დრო კიდევ და, ყველა ნაწილები აქვე დამზადდება,—ამას გვაჩვენებს ხუთწლიანი გეგმა.

ნიჟნი-ნოვგოროდის საავტოამწყობრო ქარხანა საკავშირო მნიშვნელობისაა, მაგრამ თვით ნიჟნი-ნოვგოროდისათვის კი უფრო განსაკუთრებული; ეს ქალაქი ხომ 1931 წლის შემოდგომისთვის გადაიქცევა საბჭოთა დეტროიტად (ქალაქია ამერიკაში, სადაც მოთავსებულია ჰენრი ფორდის საავტომობილო ქარხნები). ავტოსაამწყობრო ქარხანა დასაწყისია მხოლოდ მისი.

ამა წლის მაისში აქ დაიწყო ავტოქარხანა—გიგანტის აგება, რომელიც დასრულდება 15 თვის შემდეგ. ავტოქარხანა—გიგანტი პირველად წელიწადში გამოუშვებს 120 ათას მსუბუქ ავტომანქანებს, მერე კი 300 ათასს. ავტოსაამწყობრო კი განაგრძობს საბარგოების გამოშვებას. წელს უკვე გამოშვებულ იქნება 6-7 ათასამდე.

ავტოსაამწყობრო ქარხნის ასე მცირე ხანში აშენება გვიჩვენებს იმას, რომ მუშათა უდრეკი ნება არ შეუშინდება არავითარ დაბრკოლებას და ავტოქარხანა-გიგანტსაც თავის დროზე დაამთავრებს.

გიგანტი შენდება. საამწყობრო აშენებული და აგებულია განსაკუთრებით საკუთარი ძალებით, უცხოეთის სპეციალისტების დაუხმარებლად. ყოველ 20 წუთში იქიდან გამოდის ახალი მანქანა.

მოხდა პირველი სასინჯი გარბენა.

გამწკრივდა ახალი „საბჭოთა ფორდების" კოლონა, მგზავრებით—ავტოსაამწყობრო ქარხნის მუშებით და მათი სტუმრებით, დაიძრა სიხარულით. დაუარეს მეზობელ ქარხნებს და დაბრუნდენ. შინებმა გზებზე აღბეჭდეს ოც კილომეტრიან სიგრძის არშიანი ლენტა.

არავითარი გაფუჭება. არც ერთი შეცდომა, შეფერხება.

გამოცდა დაჭერილია.

ასევე ღირსეულად დაიჭირენ გამოცდას მსუბუქი ავტო-მანქანები, საბჭოთა დეტროიტის—ნიჟნი-ნოვგოროდის კალთებზე.

ე. გ.



ლენრაიბიუროს ნორჩ ტურისტების ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტრები ხუთწლიანი გეგმის შესახებ

ეს წიგნაკი საკავშირო კომპარტიის (ბ) კულტგანათლების ორგანოს „კომუნისტურ რევოლუციის" დამატებაა.

მას ჰქვია „მტრები ხუთწლედის შესახებ". მე მტერი ნუ გგონივართ, პირიქით, ჯიბეში მიდევს კომკავშირის მანდატი 12.529 ნუმრით. ამიტომ, ყველაფერი, რაც აქ დაიწერება ბურჟუაზიულ გაზეთებიდან იქნება ამოღებული.

„მცირედი თანხა, 33 მილიარდ დოლარის რაოდენობით, წარმოადგენს იმ კაპიტალურ დაბანდებათა საძირკველს, რომელიც, საბჭოთა მშენებლობის 5 წლიან გეგმას თანახმად, ხმარდება საბჭოთა კავშირის მშენებლობის განვითარებას"—განცვიფრებით აღნიშნავს შუბლმაგართა ერთ-ერთ ჟურნალის ,,**ლიტერეი დაიჯესტ**"-**ის** ცნობილი ამერიკელი კორესპონდენტი.

„ახალ საწარმოო წამოწყებათა რიცხვს განცვიფრებაში მოყევხართ"...სწერს ამერიკულ ჟურნალ „**ნეიშენ**"-**ის** მეორე კორესპონდენტი „გონება დაკარგული" და დამბლა დაცემული ჩვენი სოციალისტური მშენებლობით! თურმე: ლენინგრადში საბჭოებს განზრახული აქვთ დაასრულონ უზარმაზარი სატყეო ნავთსადგური, რომელიც თავისი სიდიდით პირველია მსოფლიოში. დნეპროსტროი— იქნება უდიდესი ძალიანი სადგური მსოფლიო მასშტაბით. ყველგან, სადაც კი ვყოფილვართ, ჩვენ ვხედავდით გამძაფრებულ, არაჩვეულებრივ აქტივობას.

ძნელია თქმა იმისა, თუ როგორ შესძლო ამ ხალხმა სულ მოკლე ხანში ამდენი საქმის გაკეთება?" განთქმული ევროპელი ჟურნალისტი და აგრეთვე „**ფრანკფურტერ ცაიტუნგ**"-**ის** რედაქტორი ფეილერ, რომელმაც „გაბედა" საბჭოთა კავშირში მოგზაურობა, თავის სამშობლო გერმანიაში დაბრუნებისთანავე „ფანტაზიაში" გადავარდა. მან თავის ჟურნალში დაბეჭდა მთელი სერია ნარკვევებისა, „**ფანტაზია კილოვატ საათებში**"-**ს** სახელწოდებით, სადაც სხვათა შორის, ამბობს: „ტექნიკა – ეს ყველაფერია. ელექტრონი დღეს უნდა ჩაითვალოს ერთად-ერთ თანამედროვე ტექნიკურ ძალად. ამიტომ არის, რომ ჩვინ ის გვამხნევებს.

ყველაზე დიდი საწარმოო მშენებლობა, რომელიც იშვიათია თვით ევროპაშიც, არის დნეპროსტროი. შთაბეჭდილება მისგან გიგანტიურია. ასეთი წარმოებანი გერმანიაში ჯერ არ აშენებულა. ჩვენში ჯერ კიდევ არ ბრუნავენ 80 ათას ძალიანი ტურბინები (ეს არის მხოლოდ ამერიკაში), რუსეთში კი, განზრახულია დასდგან ათი ასეთი ტურბინი".

საბრალო „ფანტაზიორი"—ფეილერ! მას არც კი დასიზმრებია გერმანიაში ასეთი ტურბინები. ის ნუგეშობს იმით, რომ ასეთი ტურბინი თურმე ამერიკაში ყოფილა. ამერიკა კი — მსოფლიო ეკონომიკისა და მრეწველობის კრიზისით დაშინებული წინასწარმეტყველებს ქვეყნის მომავალს; „წინასწარმეტყველებენ", თითქოს საბჭოთა კავშირი ხუთწლიან გეგმის მიხედვით, გახდება მესამე სახელმწიფო მთელს მსოფლიოში, თუჯის პროდუქციის და ქვანახშირის ამოღების მხრივ.

საწყლები, საწყლები!

მათ დაავიწყდათ ლენინის ანდერძი: „დავეწიოთ და გავუსწროთ"!.. და რა იქნება შემდეგ? თუ ასეთი ტემპით წავედით წინ, მაშინ როგორ ამღერდება ამერიკა? შემდეგ კი, ჩვენ გვაქვს ხუთწლედი ოთხწელიწადში და მრავალი სხვა ხუთწლედი.

— „ხუთწლედი — სწერენ ისინი,—ემსგავსება იმ დროშას, რომელსაც მებრძოლი რაზმი გადისვრის მტრის რიგებში, რომ შემდეგ გადაყვეს მას უკანვე ხელში ჩასაგდებად". ბოლოსდაბოლოს ხომ ამხილეს? თურმე ხანდახან მათ ჩვენს პიონერებზე ნაკლებად არ ესმით საბჭოთა პოლიტეკონომიის გაკვეთილები.

**თვით ფორდიც ,,დაფთხებოდა''.**

გაძლევთ პატიოსან პიონერულ სიტყვას, რომ ეს ჩემი სიტყვები არ არის, არამედ ეს ცნობა ამერიკელ ეკონომისტ ჩეიზეს ეკუთვნის.

არა გჯერათ? აი, წაიკითხეთ რას სწერს ის: „წარმოიდგინეთ, თითქოს ხვალ თქვენ წინადადება მოგეცათ გაემგზავროთ ვაშინგტონში, მოუჯდეთ მთავრობის დაწესებულების მაგიდას. აიღოთ ხელში ფანქარი, ქაღალდი და მიუთითოთ რკინის გზებს, ელსადგურებს, ლითონის წარმოებებს, ქვანახშირის მაღაროებს, ნავთის სარეწაოებს, ხაზინის მდივანს, ბანკებს, საბითუმო ვაჭრობის კომპანიებს, ფერმერებს, სანაოსნო გზებს და ავტომობილის ქარხნებს, თუ როგორ მოუარონ მათ კაპიტალურ დაბანდებებსა და ნედლეულს, როგორ დაგეგმონ მრეწველობა და მშენებლობა სულ მოკლე 5 წლის განმავლობაში. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ თვით მისტერ ფორდიც კი „დაფთხებოდა" ამ წინადადებით. უბრალო მომაკვდავსაც კი—მთვარეზე გამგზავრება უფრო იოლ საქმედ მოეჩვენებოდა ზემოხსენებულ საქმესთან შედარებით. და, აი,



ლენრაიონის პიონერები ბანაკად. ისვრიან გრანატს.



მეტეოროლოგიური სადგური პიონერთა ბანაკში.

ამ დროს ჩვენ ვხედავთ ხალს, რომელმაც იკისრა ამ საქმის განხორციელება, თუმცა სივრცით უზარმაზერ, მაგრამ ნაკლებ რთულ მრეწველობის ქვეყანაში“.

მისტერ ჩეიზეს აზრებს უფრო ანვითარებს მეორე ამერიკელნ ჟურნალისტი **კარენტ ხისტორი:** „ერთი წლის წინად კომ. პარტიის ბელადებმა დაისახეს ისეთი მძიმე ამოცანა, რომლის განხორციელება უცხოელ მეთვალყურეთა უმრავლესობას შეუძლებლად მიაჩნდათ— გაინდუსტრიალება უზარმაზარ, აგრარულ ქვეყნისა ხუთი წლის განმავლობაში; გარევოლუციონერება იმ აგრარულ ტექნიკის, რომელიც 60 წელს ითვლის, საშუალო კაცის წარმოებითი უნარიანობის გაორკეცება სოფლის მეურნეობასა და ფაბრიკაში, აგრეთვე ათეულ მილიონ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება იმ საფეხურამდე, რომელსაც სხვა ხალხი ნახევარ საუკუნის განმავლობაში აღწევდა .

ამის შემდეგ თქვენ იტყვით, რომ ბოლშევიკები სულელები არ არიანო? რასაკვირველია, ისინი მიაღწევენ და კიდევაც გააკეთებენ ხუთ წელში იმას, რასაც კაპიტალისტები 50 წლის განმავლობაში ვერ გააკეთებენ! ჟურნალი „ნეიშენი“—კი 1929 წლის 5 ივლის თარიღით სწერდა:

„რუსეთის გეგმა ველურ ოცნებად მოეჩვენებოდა ადამიანს, თუ არა ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლება წინადაც ამცნობდა დაუჯერებელ ქვეყანას თავის გეგმებს და კიდევაც დროზე ასრულებდა მას გაუგონარ სისწრაფით, დიაღ, ასე სწერდა: „დროზე ასრულებდა მას გაუგონარ სისწრაფით“. ეხ, საბრალო და ურწმუნო ქვეყანავ, შენ ჯერ არ იცნობ ბოლშევიკებს! იმათ გაიცნობ მაშინ, როცა ისინი „გაუგონარ სისწრაფით“ შეასრულებენ ხუთ წლიან გეგმას ოთხ წელიწადში.

ბოლშევიკები კი არა, ნამდვილი „ფანტაზიორებია“, დასწერეს გეგმა და მაშინვე ანხორციელებენ.

„დეილი ჰერალდი“-ს სპეციალური კორესპოდენტი **ფარბმანი**, რუსული ენის გრამატიკის შესწავლასაც შეუდგა:

„არსებითად ბოლშევიკების ამოცანას დღეს წარმოადგენს არა მხოლოდ რეკონსტრუქცია, არამედ რეკონსტრუქცია **სოციალისტური**, უკანასკნელზე **ხაზ-გასმით**.

უნებურად გსურს შეეკითხოთ:

„მისტერ ფარბმან, რატომ არ გინდათ თქვენივე ჟურნალის საშვალებით გაგვაცნოთ აგრეთვე რეკონსტრუქცია კაპიტალისტური, უკანასკნელზე **ხაზგასმით**, რომ ის გასაგები გახდეს თქვენისავე მუშებისათვის?

ასე, ძვირფასო ამხანაგებო, მთლიანად დასახელება იმ ქება-დიდების, რომელიც გაბნეულია ზემოხსენებულ წიგნაკში, შეუძლებელია უადგილობის გამო, თუმცა... არც არის საჭირო! ჩვენ ხომ მათთვის ქება-დიდება არ გვითხოვია. მათი ნება იყოს! მხოლოდ თქვენ თუ აკვირდებით ამათ ქება-დიდებას, ნახავთ, რომ ეს „ცრემლმორეული სიცილია“, სწორედ ამით ისინი სცნობენ სოციალისტურ მშენებლობის უპირატესობას კაპიტალისტურზე, ე. ი. სოციალიზმის, კომუნიზმის გამარჯვებას კაპიტალიზმზე.

ამ ქება-დიდების გარდა, თქვენ თუ კიდევ რეგულიარულად გაზეთებს ათვალიერებთ, წაიკითხავთ „კბილების კრაჭუნს“, და გამგელებულ მუქარას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელიც უშლის მათ „მშვიდობიან“ აყვავებას!

საბჭოთა კავშირი ყოველდღე საშიშ ღვიძლად იზრდება დამფრთხალ კაპიტალიზმის თვალებში.

ჩვენი ნარკვევის პირველი ნაწილი შეგვიძლია დავამთავროთ „ბერლინერ ტაგებლატი“-ს კონტრ-რევოლუციონერ კორესპოდენტ შეფერის სიტყვებით: საბრალო ძველო ევროპა! თუ ექსპერიმენტი 3/4მ აინც გამართლდა, მაშინაც უეჭველია გადამწყვეტი გამარჯვება. და ეს იქნებოდა გამარჯვება სოციალისტური მეთოდის, მიღწეული — ახალგაზრდა, ენერგიულ და რწმენით სავსე ხალხის მიერ შეგიძლიათ ეჭვი არ გაიტაროთ გულში. ხომ მართალია მეგობრებო!

**ბ. თაველი**



პიონერთა ბანაკში. „გიგანტი“ მხვერავი.

# ექსკურსიის ტექნიკურად ხელმძღვანელობა

ხელმძღვანელთა საბჭოს რომელიმე სხდომაზე შემოტანილი იქნება წინადადება ამა თუ იმ ექსკურსიის მოწყობის შესახებ, აქვე წინადადების სახით შემოტანილი იქნება ექსკურსიის მოწყობის საერთო პროექტი.

პროექტის მიღების შემდეგ სპეციალურ კომისიას, ან ერთ-ერთ რომელიმე სკოლას კოლექტივის ხელმძღვანელთან ერთად დაევალება ამ ექსკურსიის გეგმის დეტალურად დამუშავება.

კოლექტივის ხელმძღვანელის მონაწილეობა საჭიროა იმდენად, რამდენადაც ის იურიდიულად პასუხისმგებელია კოლექტივის მუშაობისათვის, პრაქტიკულად კი—რამდენად ის ექსკურსიის ხელმძღვანელია.

კომისია, ან გამოყოფილი რგოლი, ეცნობა იმ ადგილს, სადაც უნდა ჩატარდეს ექსკურსია; არკვევს მისვლის, მიმოსვლის საშუალებებს, ითვალისწინებს გასაჩერებელს, და დასასვენებელ ადგილებს, მათ მოწყობას, კვების ორგანიზაციის სწორ გეგმას, ექსკურსიისათვის ყველაფერი იმის გათვალისწინებით, რის მოსწრებაც კი—შეიძლება განსაზღვრულ დროის განმავლობაში.

გარდა ამისა კომისიამ, ან გამოყოფილმა რგოლმა უნდა დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოეთხოვება ექსკურსანტებს (ვინ უნდა იმოვოს ზურგით სატარებელი ტომრები, თოკები, რამდენი და როგორი სურსათი უნდა წაიღონ თან და სხვ.), აგრეთვე უნდა დაასახელონ სათანადებო პირები (კვების ორგანიზატორი, მორიგე შეჩერების ადგილზე, ვინ უნდა წაიღოს, ან განაგოს საჭირო ინვენტარი და სხვ.) იმის შემდეგ, რაც მთელი ეს წინასწარი მუშაობა შესრულდება, კოლექტივის კრებაზე კეთდება ვრცელი მოხსენება განზრახულ ექსკურსიის შესახებ, ირჩევა მისი გეგმა და მხოლოდ შემდეგ ხორციელდება ის პრაქტიკულად.

საექიმო დახმარება სასურველია, ე. ი. სასურველია რომ ექსკურსიას თან ახლდეს ექიმი. სამგზავრო პატარა აფთიაქში უნდა იყოს: 100 გრამი იოდი, ვაზელინი, სოდა, ბამბა, სახვევი, მარლა, გასახთლული ქაღალდი და ჭრილობაზე დასადები ქაღალდი, მარგანეცის კალიუმი, ვალერიანის წვეთები და ინგლისური მარილი.

ექსკურსიების პრაქტიკული გატარება შემდეგნაირად ხდება: წინასწარ გამოცხადებულ დროისათვის შეკრებილ ექსკურსანტებს ხელმძღვანელი უკანასკნელად აძლევს მითითებებს, თუ როგორი გეგმით ტარდება ექსკურსია, ვის რა მოეთხოვება ექსკურსიების დროს და ერთხელ კიდევ მოაგონებს მათ, რომ ამ მომენტიდან, ღებულობს რა საკის საკუთ ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას, მოითხოვს ყველა მის განკარგულებებისადმი სრულ დაქვემდებარებას.

დეე, ეს მითითებანი იყვენ არა სავსებით სწორნი,—ამას შემდეგ გამოვარკვევთ, მაგრამ ექსკურსიების დროს საჭიროა მეტი ორგანიზაციულობა, რაც კი—შეიძლება.

ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ხშირად ხდება, რომ ბავშვების ნაწილი, რომელნიც არ ემორჩილებიან თავიანთ ხელმძღვანელთა განკარგულება-მითითებებს, გამოიწვევენ ექსკურსიის ჩაფუშვას.

შემდეგ ექსკურსიის ხელმძღვანელი, ასე ვთქვათ, ათვალიერებს თავის ექსკურსანტებს საბრძოლო მზადყოფნაში, ამოწმებს მათს ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ინვენტარს, რომელიც წაღებული უნდა იქნას თან და სხვა. პასუხისმგებელ ხელმძღვანელს უნდა ჰყავდეს ორი თანაშემწე, რომელნიც წინასწარ ინაწილებენ თავიანთ ვალდებულებებს, მაგალითად, ერთი კისრულობს კვებისა და წაღებულ ინვენტარის შემოწმების საქმეს, მეორე კი, აწყობს შესვენებებს, თამაშობებს და სხვა. ამჟამად კი, ორთავე ხელმძღვანელი ეხმარება ხელმძღვანელს შემოწმების გაკეთებაში.

ყველა ის ნაკლოვანებები, რომელნიც შემჩნეული იქნება უკანასკნელ შემოწმების დროს, მაშინვე უნდა აღმოფხვრილ იქნან. ნაკლოვანებანი კი შეიძლება იყოს მრავალი: ერთი გამოცხადებულა შეუფერებულ ფეხსაცმელებით, მეორეს აეშალა კუჭი, მესამეს კი, არაფერი მოუტანია, რაც საჭიროა და სხვ.

ასეთ შემთხვევებში ბავშვები ექსკურსიაზე არ მიჰყავთ, ვინაიდან ექსკურსიების დროს მათთვის ყურისგდება ყოველთვის შესაძლებელი არ არის. საერთოდ კი, ჯანსაღ მოთხოვნილებებს ფართო ადგილი უნდა დაეთმოს მთელი ექსკურსიის განმავლობაში.

**მასიური ექსკურსია—გასეირნების ხელმძღვანელი.**

ერთობ მნიშვნელოვანია ხელმძღვანელის მოხერხებულად შერჩევა მასიური ექსკურსია-გასეირნებათა მოწყობის დროს. ხელმძღვანელს მოეთხოვება შემდეგი:

1. ის უნდა იყოს ბავშვების მხრივ ნდობით აღჭურვილი, ბავშვებთან კარგად შეთვისებული, ჰქონდეს მათდამი კარგი მიდგომა.

2. აღჭურვილი უნდა იყოს ორგანიზატორული უნარით, იცოდეს თამაშობა და სიმღერების მოწყობა და საერთოდ ექსკურსანტების განწყობილების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

3. უნდა იყოს საკმაოდ განვითარებული, რომ შეეძლოს ექსკურსია-გასეირნებათა დროს ბავშვების წინაშე წამოჭრილ ყოველგვარ საკითხებზე სათანადო ახსნა-განმარტების მიცემა.

4. კარგად უნდა იცნობდეს ექსკურსიის სვლისგეზსა და ადგილმდებარეობას.

5. უნდა იცოდეს პირველი დახმარების მიცემა უბედურ შემთხვევაში და სამგზავრო პატარა აფთიაქის გამოყენება.

6. უნდა შეეძლოს თანაშემწეთა კადრის შერჩევა აღმზრდელთა და უფროს მოსწავლეთა შორის, მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა და სხვა.

რა თქმა უნდა, ყველა ჩამოთვლილი თვისებები ყოველთვის არ შეიძლება ახასიათებდეს ერთსა და იმავე კაცს, მაგრამ პირველ და მეორე პუნქტში წამოყენებულ მოთხოვნილებებს ის აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს.

ექსკურსია-გასეირნების პასუხისმგებელ ხელმძღვანელის როლი უმთავრესად უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ მოგვარებულ იქნას კავშირი ცალკე ორგანიზაციულ მომენტების შორის, ის უნდა იყოს ყოველ ცალკე მომენტის კურსში, მაგალითად: შესვენების ორგანიზაციის, კვების, დასვენების, თამაშის და სხვათა ორგანიზაციის კურსში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია მას უხელმძღვანელოს გასეირნება-ექსკურსიას. ხელმძღვანელის როლი ერთობ ძნელია. ის მოითხოვს უკანასკნელისაგან, როგორც ჩვევებს, მომზადებას, პედაგოგიურ ტაქტს, ავტორიტეტიანობის, ისე, რაც მთავარია, ორგანიზაციულ უნარსა და ნიჭს.

სეირნობა-ექსკურსიის ჩატარების დროს საჭიროა ამ უკანასკნელის ასე თუ ისე დამუშავება. პიონერულ ექსკურსიაში ყველაფერი ეს ხორციელდება კოლექტივის შეკრების მეშვეობით, რომელზედაც ან პასუხისმგებელი ხელმძღვანელი, ან რომელიმე ორგანიზატორთაგანი აკეთებს ვრცელ საანგარიშო მოხსენებას ჩატარებულ გასეირნება-ექსკურსიის შესახებ, აღნიშნავს მის დადებით თუ უარყოფით მხარეებს, იძლევა შენიშვნებს, როგორც ცალკე მომენტების შესახებ, ისე ცალკე პიროვნებათა მიმართაც. შეკრება შეავსებს შენიშვნებს, რომელნიც გაკეთებული იქნა მომხსენებლის მიერ, გამოთქვამს თავის აზრს ჩატარებულ ექსკურსიის შესახებ და ამა, თუ იმ დადგენილების სახით აჯამებს თავის დასკვნას. მთელი მასალა: პირადი შთაბეჭდილებანი, ცალკე მომენტების დახატვა, ექსკურსია-გასეირნებათა კარიკატურები და სხვა შეიძლება წარმატებით იქნან გამოყენებული საკუთარ კოლექტივის გაზეთში, ან ჟურნალში ყველასათვის გასაცნობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თვით მეფეც კმაყოფილია ჩვენით“

ბურჟუაზია ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავს, არ ზოგავს არავითარ ხარჯებს და ჰქმნის ყველგან აღზრდის სკაუტურ სისტემას. ტყუილად კი არ უთქვამს 1914 წ. აგვისტოში სერ ბადენ-პაულს:—ინგლისი ელის, რომ ყოველმა მოზარდმა შეასრულოს თავისი მოვალეობა.

მოვალეობის შესრულება ითქვა იმ გაგებით, რომ ასეული სკაუტები გადასროლილ იქნენ გერმანიის ფრონტზე, თავიანთი კანონის შესასრულებლად: „სკაუტი ერთგულია მეფისა და სამშობლოსი“.

1929 წლის აგვისტოს სკაუტების მსოფლიო შეკრებამ ნათლად გამოააშკარავა, თუ რას წარმოადგენს ეხლა ეს ორგანიზაცია. შეკრებაზე იდეოლოგიური ხელმძღვანელობა გასწია კენტერბერის ეპისკოპოსმა, რომელიც ახლა აქტიური ხელმძღვანელია საბჭოთა კავშირზე ჯვაროსნული გალაშქრების. ორას ათასამდე ოფიცერი და სამხედრო პირი ხელმძღვანელობს და დაუღალავად მუშაობს სკაუტურ ორგანიზაციაში.

მისი უდიდებულესობის, დიდი ბრიტანეთის ფლოტში შესვლის დროს, არა სკაუტებისაგან უპირატესობა ენიჭებათ მეზღვაურებს და ცეცხლფარეშებს — ეს სამხედრო ფლოტში შესვლის წესებიდან.

სკაუტების გარეგანი ატრიბუტებით, დაინტერესებულ მუშის შვილს, აუცილებლად ესაჭიროება ახსნა-განმარტების მიცემა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს ორგანიზაცია.

ინგლისელ კომკავშირლების ფურცელი ასრულებს ამას დიდი მიღწევით:

„ვისთვის იბრძვიან და ვის იცავენ სკაუტები? კერძო მწარმოებლისათვის, მუშების წინააღმდეგ.



ლენრაიბიუროს ნორჩი ტურისტი სოფლის პიონერს აძლევს საჩუქარს

ვინ აძლევს დახმარებას სკაუტებს? ვინ ხარჯავს მათზე ფულს? ისინი უდიდეს ნაწილს თავიანთი სტერლინგებისას იღებენ მუშათა კლასის დაუძინებელ მტრებისგან —ბანკირებისა და ფაბრიკანტებისაგან. როროტომირი, „დეილი-მეილი“—ს მესაკუთრე, კროსმენი და პაულაინ, პერკინსი და კომპანია,—აი ვინ უმაგრებს ზურგს სკაუტებს.

„თვით მეფეც კმაყოფილია ჩვენით“.

**სკაუტიზმი**—დასრულებული და ნამდვილი სისტემაა ბავშების ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სულით აღზრდის. ხანგძლივი მორალურ დამუშავების შემდეგ, ხანგძლივი ზნეობრივ გარდაქმნისა და ჩამოყალიბების შემდეგ გამოდიან პატენტიანი კოლონიური მტაცებლები, ყოვლად დაჯილდოებული მოხელეები, ეკლესიის თავმდაბალი ერთგული ხალხი, მებრძოლი—მეფისა და სამშობლოსათვის.

გენერალმა ბადენ-პაულმა თავი გამოაცხადა ნიჭიერ ფაბრიკანტად. ყველაფერი გათვალისწინებულია: ბავშის ფსიქოლოგია, მისწრაფება რომანტიკისკენ, რაინდულ ხერხებისაკენ, თავისებური სპეციალურ ტანსაცმელისაკენ, ნიშნებისაკენ და ყოველგვარ დამამშვენებელ სამკაულისაკენ. ბავშები დაყავთ ტყეში, ბანაკად; აშორებენ საწარმოო ცენტრებს, მუშათა ბრძოლებს. სახელმწიფო ფულს არ ზოგავს, სკაუტების შეკრებაზე იკრიბებიან, მოფრინავენ სხვადასხვა სახის, ყველა ჯურის ყორნები და ბახალები.

„ფრიალებს სკაუტთა დროშა,
ყვირის საყვირი ლაშქრული;
მეფეს და სამშობლოსა,
ვიცავთ სკაუტურ მკლავ-გულით,
ღმერთი უფალი, ჩვენ გვწყალობს,
ჩვენც იმას ვემსახურებით...
მეფეს დიდებას ვუკალობთ
და გვეხმარება ფულებით.“

დამაბრმავებელი გარეგანი სამოსი და ნორჩი, მაგრამ მოშხამული გული გაჟღენთილია სკაუტების დევიზით: „სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის“.

**საჭიროა თუ არა პოლიტიკაში მეცადინეობა?**

კაპიტალისტებს და მათ ლაქიებს სოციალ-დემოკრატებს, არ უნდათ, რომ მუშათა ბავშებს ერთმანეთში ძმური კავშირი ჰქონდეთ. კაპიტალისტები უფრთხიან პროლეტარულ ორგანიზაციებს. ამიტომ ისინი შეკრებას „საშინელებად“ იხსენიებდენ და ავრცელებდენ ჭასზე, როგორც შეეძლოთ, ჭორებს. ბურჟუაზიული გაზეთები გამუდმებით ყმუიან და ყეფენ:

— ბოლშევიკები ბავშებს რყვნიან პოლიტიკით. მაგრამ პიონერებმა იციან, რომ საჭიროა პოლიტიკაში მეცადანეობა. საერთაშორისო კონფერენცია პიონერების იკრიბებოდა იმ მომენტში, როდესაც ინგლისში ეწყობოდა ბოისკაუტების შავი შეკრება, სკაუტები კი, ომისათვის მზადებაში იყვენ.

ამ შეკრებაზე მიიწვიეს რუსი სკაუტებიც, თეთრგვარდიელთა ბავშები, და სთქვეს:

— აი, რუსეთის წარმომადგენლები, სხვებს ჩვენ არ ვიცნობთ. სკაუტების ბელადმა ბადენ-პაულმა კი,



პურს მკიან

გადაისროლა ლოზუნგი: „შევაგროვოთ 50 ათასი სტერლინგი კომუნიზმთან მებრძოლ ფონდის გასაძლიერებლად“

განა ეს პოლიტიკა არ არის?

ახლო წარსულში ინგლისის კომკავშირის მდივანი ამხ. რეისტი შეეკითხა პაულს:

— რას ურჩევდით თქვენ თქვენს სკაუტებს, თუ კი ინგლისი ომს გამოუცხადებდა საბჭოთა რუსეთს?

ბადენ-პაულმა უპასუხა:

— მე ვიტყოდი: „დაიცავით და ემსახურეთ თქვენს ქვეყანას“. ხუ თუ აქის შემდეგ პროლეტარული პიონეოები უხდა იდგენ პოლიტიკისაგან განზე და არ დაიცვან თავიანთი ინტერესები? მთელი ქვეყნის პროლეტარული პიონერები, რომელთა მამები და ძმები იტანჯებიან ციხეებში, ახ და დაიღუპენ თეთრი ტერორისაგან, არ მიიღებენ მონაწილეობას ახალ იმპერიალისტურ ომში?

ეხლა შეიძლება იქნეს მხოლოდ ერთი ომი: კაპიტალისტებისაგან მუშათა განთავისუფლებისათვის, ომი ყველა მშრომელისათვის ერთად-ერთ სამშობლოს ს. ს. რ. კ. დაცვისათვის.

აი ჩვენი ლოზუნგი:

„იმპერიალისტური ომი გადავაქციოთ სამოქალაქო ომად“

## თვალები დასავლეთისაკენ.

ბურჟუაზია აყალიბებს ორგანიზაციულად ახალგაზრდობას, დაწყებული „პირველდაწყებითი სასწავლებლის სკამიდან გათავებული უნივერსიტეტითა და ქარხნებით.

ყოველგვარი კავშირი ახალგაზრდა რესპუბლიკანელების, ახალგაზრდათა ქრისტეანელების, სოციალისტური კავშირი ყოველგვარ რჯულის და ყალიბის,—ყველა ეს ორგანიზაციები, რომელნიც ლაყბობენ მშვიდობიანობაზე, ნამდვილად წარმოადგენენ იმ სკოლებს, რომელშიაც ბურჟუაზია ამზადებს ჯარისკაცებს თავისი არმიისათვის.

ყოველი წლის მარტში იტალიის ფაშიზმი უქმობს, დღესასწაულობს მორიგი წლის თავს „ფაშიოს“-ს (კავშირი) პირველ მებრძოლ რაზმების შექმნის გამო. წელს ფაშიზმი გადავიდა მისი არსებობის მეთორმეტე წელში.

წლის თავის საზეიმოდ ყოველ წელს ტარდება „შეკრების კვირა“ ფაშიზმის ახალგაზრდათა „გვარდიაში“ —„ავანგარდია“. შემდეგი გზა ახალგაზრდა მუშის— „ავანგარდისტი“ მიდის ფაშისტურ მილიციაში.

იტალიელი კომკავშირლები თავიანთ ამხანაგებს — მუშებს უსპობენ მილიციაში შესვლის სურვილს. ისინი მათთან ხანგძლივ მუშაობას აწარმოებენ, და უმტკიცებენ „ავანგარდის“ და ფაშისტურ მილიციის შიგნიდან დაშლის აუცილებლობას.

და ხშირია შემთხვევა, როდესაც საზეიმო პარადში რომელიმე ლეგიონი „ავანგარდისტებისა“, ნაცვლად მებრძოლ მოძახილებისა „ალ-ლა-ლა“ და მუსოლონისადმი მისალმებისა, ხმა ამოუღებლივ იხსნის ფაშისტურ ნიშნებს და უარს აცხადებს ოფიცრებისადმი მორჩილებაზე.

ციხეების და გადასახლების საშინელება და სისასტიკენი, რომლითაც უსწორდებიან ფაშისტები, არ აშინებს კომკავშირლებს, რომლებიც შედიან ფაშისტურ ორგანიზაციაში და თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს იმისთვის, რომ გამოჰგლიჯონ იქიდან ამხანაგები.

## ბავშებს ტყვიას უშენენ

ბულგარეთში ქ. ელხოვოში მუშა ბავშებმა დასწერეს ლოზუნგები ფაბრიკანტების წინააღმდეგ და დადიოდენ ამ ლოზუნგებით ქუჩებში. ჟანდარმებმა არც კი შეხედეს ბავშებს და დაიწყეს სროლა. აი, ასე უსწორდებიან ბურჟუები მუშათა ბავშებს.

## სიკვდილით დასჯა ბავშებს

ფაშისტებმა გამოსცეს ახალი კანონი სამხედრო სასამართლოსთვის, რის თანახმად ტარდება ფიზიკური დასჯა.

ამ კანონში ნათქვამია, რომ სიკვდილით დასჯა ცნობილია სრულიად სამართლიანად ჯაშუშებისა და სახელმწიფოს ღალატისათვისო. იქვეა თქმული, რომ ჰასაკი ბრალდებულის სასამართლოს მიერ არ მიიღება მხედველობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე-წლოვანი ბავშვები შეიძლება სიკვდილით დაისაჯონ.

აშკარაა, რომ ეს კანონი მიმართულია პირველ რიგში რევოლუციონურ პროლეტარიატის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისათვის საშიში ყოველი რევოლუციონური შეიძლება სახელმწიფოს ღალატში იქნეს ბრალდებული და ყოველგვარ გასამართლების გარეშე დახვრეტილ იქნეს.



ახალი საბანაო მტკვარზე

ამას ამტკიცებს მმართველი პარტიის ერთ-ერთი წევრის განცხადება:

„აუცილებელია ჩამოყალიბება არმიის ზურგში, რომ უზრუნველყოთ ქვეყნის დაცვა რევოლუციონურ მოძრაობისგან".

**ლიკიორიანი ტკბილეულობის შესახებ**

ნამეტნავად ძლიერი და საშიში მტრები არიან სოციალ-ფაშისტური ბავშთა ორგანიზაციები „წითელი შევარდენი" და „ბავშთა მეგობარი".

ცენტრალურ ევროპაში ისინი აერთიანებენ 120 ათას ბავშვზე მეტს, ეს ძალიან დიდ ვალდებულებას აკისრებს ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციებს.

ბავშთა ამ სოციალ-ფაშისტურ ჯგუფის შინაარსი საკმაოდ ნათელია. მათში იჩენს თავს პოლიტიკური მლიქვნელობა, ფარისევლობა, პირმოთნეობა, კლასიურ ბრძოლის ჩაზშობა, ჩაქრობა—საერთოდ ყველა დამახასიათებელი თვისებანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის.

— რა თქმა უნდა, რასაკვირველია, ვმოქმედობთ სოციალიზმისთვის, მაგრამ ხელი, მშვიდობიანი, თანდათანობითი გზით. ჩვენ ვეწინააღმდეგებით ყოველგვარ მოძრაობას, რევოლუციას, რძს. ჩვენ მოსხრე კართ მშვიდობიანობის, იყვე პაციფისტები ვართ.

ბავშები, გაჟღენთილნი ამ ბურჟუაზიულ ოპორტიუნისტულ იდეოლოგიის სამით, გამოდიან ისეთი ლოზუნგებით კომპანიებით, როგორიც არის: „ბავშვებისათვის ლიკიორიანი ტკბილეულობის, მავნებლობის შესახებ".

**მოწაფე ციხეში ჩასვეს**

საფრანგეთში, ქ. კლისში პიონერულ ფურცლების და წიგნების გავრცელებისათვის პოლიციამ დააპატიმრა ერთი ბავში—მოწაფე.

— . —

ამ ახლო წარსულში სტაანენში (ბერლინის ახლოს) რამდენიმეჯერ შემლანძღელი მოწაფე-ბავშები ცასვეხების დროს თამამად გაიძახოდენ: „როტ ფრონტ".

მასწავლებელმა, როგორც კი გაიგეს მათთვის საზიზღარი სიტყვა, მივარდნენ და... დაუწყეს ბავშვეს ცემა. ლურჯი და მწვანე დალებით დაიფარა ბავშების ტანი. რამდენიმე დღის განმავლობაში მათ არ შეეძლოთ სკოლაში სიარული.

მასწავლებელი-მოჩხუბარი ძალიან ხშირია გერმანულ სკოლებში. ქ. ვიტენბერგის ახლოს, ერთ სკოლაში ამლევს გაკვეთილებს ასეთი ფაშისტი მასწავლებელი-მოჩხუბარი. მისი უდიდესი სიამოვნებაა მუშათა ბავშების ცემა დასისხლიანებამდე.

ერთერთმა, 11 წლის მოწაფე ქალმა, ვერ აიტანა სკოლაში ასეთი რეჟიმი და თავი მოიკლა.

ამ ქალაქის მუშებმა, როგორც კი გაიგეს ბავშის სიკვდილის მიზეზი, ძალიან აღელდენ და სასწრაფოდ მიმართეს სასკოლო მართველობას საჩივრით მასწავლებელ ტირანის შესახებ.

რასაკვირველია, მოსწავლებელი, რომ ყოფილიყო კომუნისტი, სამუდამოდ მოიშორებდნენ მას და ჩააგდებდნენ სამუდამოდ ციხეში. მაგრამ მასწავლებელი იყო ფაშისტი, ამიტომ ის... მშვიდად დარჩა თავის ადგილზე და ისევ განაგრძობს მუშის შვილების ცემას.

ჩვენში, ს.ს.რ.კ.-ში ტარდება სპეციალური ერთფეროვნები ბავშების დასჯის წინააღმდეგ, და იქ კი კაპიტალისტებთან, პირიქით, ასწავლიან ბავშების ცემას. და არა მარტო სკოლებში, არამედ ოჯახშიაც კი.

გერმანიაში გამოდის ისეთი ჟურნალიც, სადაც ურჩევენ, თუ როგორი საშუალებით სცემონ ბავშებს. აი, მაგალითად, ერთი წერილი ასეთი სათაურით: „როგორ ვსჯი მე ჩემს ქალიშვილს." მასში ურჩევენ მშობლებს, თუ როგორ სცემონ ბავშებს:

„მოამზადეთ თქვენთვის ბავშის საწოლთან პატარა მაგიდა, გაიხადეთ ტანისამოსი პერანგის ამხანაგამდე და თან იქონიეთ იატაკის საწმენდი გომლი ჯოხი, შემდეგ ბავში აიყვანეთ საწოლიდან, და დასვით მაგიდაზე ისე, რომ უკანა ნაწილი მოხრილი დარჩეს, შემდეგ დაჯექით ბავშზე, როგორც კავალერისტი სწორი ფეხებით. მაგრამ შემოარტყით ფეხებით, რომ ბავში ვეღარ გასრიალდეს და ვეღარ გადაბრუნდეს. ამის შემდეგ აუწიეთ პერანგი მარცხენა ხელით და მარჯვენა ხელში მოიმარჯვეთ იატაკის საწმენდი ჯოხი და დასცხეთ ჩქარ-ჩქარა.

ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს სწრაფად იმიტომ, რომ პირველად დამიხლეს ბავში. შეუწყვეტლივ უნდა მიაყაროთ დარტყმები და ისეთი სიძლიერით, როგორც მაგალითად თქვენ გინდათ მტვერი გამოაცალოთ ავეჯს; სცემეთ ბავშს მანამდე, სანამ არ დაიწყებს ტანჯვით ყვირილს და კვნესას. (1929 წ.)"

**„მე მინდოდა დავხმარებოდი სამართლიან საქმეს"**

ინდო-ჩინეთში თებერვალში მოხდა აჯანყება ადგილობრივ მოიჯარადრეთა. ისინი აჯანყდენ ფრანგებისაგან შევიწროებისა და მოთმის სრულიად უაზრო პირობების წინააღმდეგ.

ფრანგულმა სასამართლომ მაისის ბოლოს გამოიტანა განაჩენი:

— 10 კაცის სიკვდილით დასჯა.

ბრალდებულთ სასამართლოში თავი ეჭირათ მეტად თამამად და მტკიცედ.

ერთმა გლეხმა სასამართლოში სთქვა.

— მე არ მემძლო თვალების აკაცყოფობის გამო მონაწილეობა მიმეღო აჯანყებაში უშუალოდ, მაგრამ ჯანმრთელად რომ ვყოფილიყავი, მოვიქცეოდი ისე, როგორც ყველა ეს პასუხისგებაში მიცემული.

15 წლის გლეხის ბიჭმა, ახსენა რა თავისი მონაწილეობა, სთქვა:

— მე ვმონაწილეობდი აჯანყებაში, რადგან მინდოდა დავხმარებოდი სამართლიან საქმეს.

**სასკოლო გაფიცვები პოლონეთში**

მიმდინარე სამოსწავლო წელი ვარშავაში ხასიათდება მრავალრიცხოვანი გაფიცვებით.

პირველი გაფიცვა დაიწყო მოწაფეთა გამოსვლებით ცნობილ მეკოლის ჟულავოდის გაოდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად მოწყობილ დღესასწაულის წინააღმდეგ. ყველა მონაწილენი დასჯილ იქნენ. მოწაფეებმა ამაზე უპასუხეს გაფიცვით, მოითხოვეს სასჯელის და ფაშისტურ რეჟიმე მომხმარების მოხსნა. სოძოლა მოედვა მთელ რიგ სკოლებს და გრძელდებოდა რამდენსამე დღეს. მაგრამ გაფიცვა ჩაქრობილ იქნა პოლიციის დახმარებით, რომლებმაც აიძულეს მოწაფეები შეეწყვიტათ ბრძოლა.

ადმინისტრაციამ დროებით მოხსნა რამდენიმე მომზადება და მხოლოდ შემდეგში, ტერორმა შექმნა შესაძლებლობა, რომ კვლავ აღედგინათ იძულებითი, რამდენიმე მომზადება, ჯარი, მისი სისტემა და სასჯელი.

არა ნაკლები სერიოზული იყო გაფიცვა სკოლაში რილეევის ქუჩაზე (ვარშავა). საბაბი გაფიცვის იყო ამ სკოლის მდივნის მიერ ერთ-ერთი მოწაფის გალახვა. კამპანია გადაიქცა საგაფიცვო ბრძოლად სასჯელის სისტემის და რამდენიმე მომზადების წინააღმდეგ. ადმინისტრაცია სოციალ-ფაშისტების დახმარებას მიმართავდა.

გარდა ამ გაფიცვისა, იყო გამოსვლები სხვა სკოლებშიაც.

(გაგრძელება იქნება).

პიონერული. სიტყვა ა. მაშაშვილის. მუსიკა კოკელაძის




ჩვენ ლენინელების უმცროსი ძმები ვართ,
ერთია—მიზანი, გზა,

თუ მტრების ლაშქარნი კვლავ დაიძვრებიან,
ბრძოლისთვის ვიქნებით მზად!

**ფასი 25 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პურის დამზადება

საბჭოთა კავშირის წინსვლა ისევე გვახარებს ჩვენ —პიონერებს—როგორც ყველა მშრომელ მუშას და გლეხს.

დიდის წარმატებით ჩატარდა საგაზაფხულო თესვა, ბევრგან გეგმას გადავაჭარბეთ, და ამ მუშაობაში ჩვენც შევიტანეთ ღირსეული წვლილი.

ღირსეულად ჩატარებულ თესვას, ღირსეულადვე უნდა დამთავრება, ესე იგი, მოსავლის აკრეფა, პურის დამზადება.

ჩვენ აქაც უნდა გავშალოთ ახალგაზრდათა ფრონტი.

ამ საქმეში ყველა პიონერი დამკვრელი უნდა იყოს.

ბანაკად გასული ჩვენი პიონერები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს, ღარიბ, კერძო მეურნეებს, ქვრივ-ობლებს, წითელარმიელთა ოჯახებს, რითაც შეუძლიათ.

ამ საქმეში უნდა გამოიწვრთნან პიონერები.

მათ თვალყური უნდა ადევნონ მოსავლის აღებას, პურის დამზადებას.

პურის დამზადება არ უნდა დაბრკოლდეს.

პიონერებმა ამ საქმეში შემჩნეულ ნაკლს უნდა ებრძოლონ, უნდა გააშუქონ თავიანთ კრებაზე, პრესაში, კედლის გაზეთში.

ასევე უნდა მოვიქცეთ სხვა კულტურების აკრეფაშიც, ყველგან უნდა იყოს ჩვენი ხელი.

ამაში მტკიცედ უნდა გავატაროთ კლასიური ხაზი.

გასულ წელს იყო შემთხვევები, როდესაც საშუალო გლეხს, როგორც კულაკს, აწერდენ პურის დიდ რაოდენობას და აძალებდენ ჩაებარებია ხელისუფლებისათვის. ეს წესი წელს მხოლოდ კულაკებზე უნდა გავრცელდეს.

გვქონდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ღარიბ გლეხს ჩაბარებულ პურის ღირებულებას მხოლოდ ფულად უნაზღაურებდენ და სამრეწველო საქონელს აძლევდენ იმათ, ვინც ბევრ პურს შემოიტანდა, ასეთი პირი კი, რასაკვირველია, კულაკი იყო. ეს წელს არ უნდა მოხდეს.

ჩვენი დახმარება ყოველმხრივ ღარიბ, საშუალო გლეხთა, მოჯამაგირეთა, წითელარმიელთა, ღარიბ ქვრივ-ობოლთა ოჯახებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

სათანადო ორგანოები უკვე ამუშავებენ წესებს იმის შესახებ, თუ რამდენი მიეცემა ღარიბ და საშუალო გლეხებს და რამდენი კულაკებს სამრეწველო და დეფიციტიანი საქონელი ჩაბარებულ პურში.

ამის სწორად შესრულებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ამ წესებს ჩვენ შემდეგ ნომერში გამოვაცხადებთ.

პიონერებო, ამ ფრონტზეც—იყავით მზად!

ე.

# მისაბაძი მაგალითი

გორის რაიონის პიონერორგანიზაცია ავრცელებს 600 ცალს ჟურნალ ,,პიონერს‘‘. სხვა ორგანიზაციებისთვის მისაბაძია ეს მაგალითი!

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

მთავლიტი № 1682 სახელგამის სტამბა, შუა ბაზარი, № 22. შეკვ. 500. ტირ. 3500